1891 წლისა, № 9 და 10 1—30 მაისს

# მწყემსი

## ოფიციალური ნაწილი.

### უმაღლესი დაჯილდოებანი.

ხელმწიფე იმპერატორმა, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის უქვეშევრდომილესი მოხსენებით, თანახმად განჩინებისა უწმ. სინოდისა 15 ამა მაისს უმოწყალესად ინება დაჯილდოება სასულიერო პირთა ქვემოდ მოხსენებული განსხვავებული ნიშნით ეპარქიის უწყებაში სამსახურისათვის.

საქართველოს საექსარხოსოში ქართლისა და კახეთის ეპარქიაში: ა) წმ. ანნის მეორე ხარისხის ორდენით: ხირსის სტეფანეს მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ევსტრატი; თბილისის ქალაქის სიონის მიძინების საკრებულო ტაძრის დეკანოზი ესტატე ელიევი; ბ) წმ. ანნის მესამე ხარისხის ორდენით: სიღნაღის მაზრის ვეჯინის სოფლის მღვდელი ქრისტე'აია ასათიანი.

იმერეთის ეპარქიაში: ა) წმ. ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენით: წინამძღვარი წმიდათა დავით და კონსტანტინეს მონასტრისა, არქიმანდრიტი ბესარიონი; შორაპნის მაზრის სოფლის სავანეს ეკკლესიის დეკანოზი იოანნე აბაშიძე; ბ) წმ. ანნის მეორე ხარისხის ორდენით: შორაპნის მაზრის დაბა ყვირილის ეკკლესიის დეკანოზი დავით ღამბაშიძე; რაჭის მაზრის დაბა ონის ეკკლესიის დეკანოზი ალექსი გიორგობიანი.

გურია-სამეგრელოის ეპარქიაში: ა) წმ. ანნის მესამე ხარისხის ორდენით: წინამძღვარი ნახარების ხარების მეორე კლასის მონასტრისა არქიმანდრიტი იონა; წინამძღვარი იოანნე ნათლის-მცემლის მონასტრისა არქიმანდრიტი გერასიმე.

### განჩინება უწ. სინოდისა.

**9—29 აპრილს 1891 წელსა № 976** სასულიერო პირთა დაჯილდოების შესახებ სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის უქაზისა მებრ, უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინა ეპარქიის მღვდელთ-მთავრების, მოსკოვის სინოდის კანტორის და სასახლის სამღვდელოების გამგის წარმოდგინებანი მათდამი რწმუნებული სასულიერო პირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის. ბრძანეს: საფუძველსა ზედა მომხდარ მსჯელობათა უწ. სინოდმა განაწესა: წარმოდგენილ სიებსა შინა მოხსენებულნი სასულიერო პირნი იქმნენ დაჯილდოებულნი სიებში აღნიშნული ჯილდოებითა და მღვდელთ-მთავართა, მოსკოვის სინოდის კანტორის და სასახლის სამღვდელოების გამგის საცნობლად დაჯილდოებულ პირთა სია დაიბეჭდოს «საეკკლესიო უწყებაში».

---

სია სასულიერო პირთა, რომელნიც სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის დაჯილდოებულ იქმნენ უწ. სინოდისაგან მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა გვირგვინოსნების დღეს.

საქართველოს საექსარხოსოში: ქართლისა და კახეთის ეპარქიაში: ა) დეკანოზობის ხარისხით.— თბილისის ქალაქის, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი დავით ჭრელაშვილი, ამავე ქალაქის, დიდუბის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი ბესარიონ ზედგინიძე; გორის მაზრის, რუისის ფერისცვალების ტაძრის მღვდელი იოანნე ინაევი; სიღნაღის მაზრის, სოფლის საკობის ეკკლესიის მღვდელი დავით იაშვილი; ბ) მკერდის ჯვრით, უწმ. სინოდისაგან ბოძებულითა:— წინამძღვარი ბოდბის წმ. ნინას დედათ მონასტრის

იგუმენია იუვენალია; ხაზინადარი ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრისა მღვდელ-მონაზონი ილარიონი; ხაზინადარი მარტყოფის წმ. ანტონის მონასტრისა მღვდელ-მონაზონი გერასიმე; თბილისის ქალაქის, ავლაბრის სასაფლაოს პეტრე-პავლეს ეკკლესიის მღვდელი ზაქარია გძელიევი; გორის მაზრის, სოფლის ხოვლეების მღვდელი გიორგი კავსაძე; სიღნაღის მაზრის, კედლის სამრეკლოის მღვდელი იოსებ მახაროვი; იმავე მაზრის დჟუგანის ეკკლესიის მღვდელი ილარიონ იაევი; ბლაღოჩინი თელავის პირველი ოლქისა, კურდღელაურის ეკ. მღვდელი მიხაილ ხელაევი; თელავის მაზრის, უვარელის ეკ. მღვდელი მიხაილ ვარდიევი; გ) კამილავკითა: თბილისის ქალაქის ამაღლების ეკ. მღვდელი დავით გულაბოვი; ამიერ კავკასიის რკინის გზის მოძრავი წმ. კონსტანტინე და ელენეს ეკ. მღვდელი იროდიონ ნანაბოვი; თბილისის მაზრის, ნორიოს სოფლის მღვდელი სიმონ მანსვეტოვი; ამავე მაზრის საგარეჯოს ეკ. მღვდელი მიხაილ გულისოვი; გორის მაზრის, სოფლის ტირზნის ეკ. მღვდელი სპირიდონ კასრაძე; ამავე მაზრის, ერთა წმიდის სოფლის ეკ. მღვდელი გიორგი კარგარეთელი; სიღნაღის მაზრის, შიბნის ეკ. მღვდელი იოანნე ჰამასპოვი; ახალციხის მაზრის, ერკოთის სოფლის ეკ. მღვდელი სამსონ ზედგენიძე; ბორჩალოს მაზრის, სოფლის პრივოლნის ეკ. მღვდელი იოანნე მანსვეტოვი; დუშეთის მაზრის, ბოკოცინის ეკკლესიის მღვდელი გიორგი ასათიანი; დ) უწმიდესი და უმართებულესი სინოდის ლოცვა-კურთხევით უგრამატოთ: თბილისის ქალაქის არქიერის სასახლის მღვდელ-მონაზონი ელისე; ხაზინადარი თბილისის ფერისცვალების მონასტრისა მღვდელ-მონაზონი თეოდოსი; ამავე მონასტრის მღვდელ-მონაზონი ვასილი; ხაზინადარი იოანნე ნათლის-მცემლის უდაბნოისა მღვდელ-მონაზონი დომენტი; სიღნაღის მაზრის ჭალოუბნის ღვთის-მშობლის ეკ. მღვდელი იოანნე მატატოვი (იგივე მატათიევი).

იმერეთის ეპარქიაში: ა) დეკანოზობის ხარისხით:—ქუთაისის მაზრის, სიმონეთის ეკ. მღვდელი გიორგი კლდიაშვილი; ბ) მკერდის ჯვრით, უწმ. სინოდისაგან ბოძებულით:—ეკონომი ჭელიშის ღვთის-მშობლის მონასტრისა, მღვდელ-მონაზონი ანტონი; ეკონომი გელათის ღვთის-მშობლის ეკ, მღვდელ-მონაზონი გაბრიელი; შორაპნის მაზრის, სოფლის წევის ეკ. მღვდელი ლუკა მაღრაძე; გ) კამილავკითა:—ქუთაისის მაზრის, ივანდიდის ეკ. მღვდელი თომა მაჭარაძე; ამავე მაზრის ფარცხანაყანევის ეკ. მღვდელი გრიგოლი თევდორაძე; ამავე მაზრის სიმონეთის ეკ. მღვდელი სიმონ ჭუმბურიძე; შორაპნის მაზრის, ცხრუკვეთის ეკ. მღვდელი ნიკოლოზ წერეთელი; რაჭის მაზრის ტოლის სოფლის ეკ. მღვდელი სამსონ ლანდია.

გურია-სამეგრელოს ეპარქიაში: ა) იგუმენიის ხარისხით:—სვანეთის მუშკიერის წმ. გიორგის ეკ. მღვდელ-მონაზონი დანიელი; ბ) დეკანოზობის ხარისხით:—კარცხინის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი თომა გოშუა; გ) მკერდის ჯვრით, უწმ. სინოდისაგან ბოძებულითა: სვანეთის ლენჯარის მაცხოვრის ეკ. მღვდელ-მონაზონი კლემენტი; სალაროს გამგე იოანნე ნათლის-მცემლის მონასტრისა მღვდელ-მონაზონი ბენიამენი; ცალენჯიხის მაცხოვრის ეკ. მღვდელი სოფრომი თვალთვაძე; ქალაქის წმ. მთავარ-ანგელოზის მღვდელი იოანნე კუხალაშვილი; დ) კამილავკითა: ზემო-ხიბათის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი თომა ჯორბენაძე; ჭანეთის მთავარ-ანგელოზთ ეკ. მღვდელი მაქსიმე ქავთარაძე; ზუგდიდის შობის ეკ. მღვდელი მათე ჯაჯუშია; ნაქალაქევის წმ. ორმეოც მოწამეთა ეკ. მღვდელი გიორგი შალამბერიძე; მეოთხე ჭალადიდის მუხურის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი ათანასე ბაბილუა; ტაბორის ჯვარცმის ეკ. მღვდელი დავით ქარსელაძე; ბანძა ბერდიდვარის მთავარ-ანგელოზის ეკ. მღვდელი იოანნე ფოჩხუა.

---

## განკარგულებანი საეპარქიო მთავრობისა.

უწმიდესის და უმმართველესის სინოდის უქაზის ძალითა $\frac{\text{13 მარტიდგან}}{\text{6 ივნისიდგან}}$ 1890 წლისა, № 585-ით, დაჯილდოვებულ იქმნენ სკუფიითა.

### I. საქართველოს ეპარქიაში:

1) ბლაღოჩინი III ოლქის, გორის მაზრის, გორის მიმინების სობოროსი, მღვდელი იოელ გამრეკელოვი, 2) სოფლის ჭერემის თბილისის მაზრის, ღვთის-მშობლის ეკკლესიის, მღვდელი მიხეილ ტაპადაძე, 3) სოფლის არტანის, თელავის მაზრის, აღდგომის ეკკლესიის მღვდელი იოანნე ალნიევი, 4) სოფლის ვეჯინის, სიღნაღის მაზრის, პეტრე-პავლეს ეკკლესიის მღვდელი პეტრე ელიზბაროვი, 5) სოფლის წინარეხის, გორის მაზრის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი

მიხეილ მცხვეთაძე, 6) სოფლის ქვემო-ქანდაკის, გორის მაზრის, მიძინების ეკკლესიის მღვდელი სიმონ ლარიბოვი, 7) სოფლის კოდის, თბილისის მაზრისა, ალექსანდრონეველის ეკკლესიის მღვდელი საბა პეტრიევი, 8) სოფლის აბანოს, დუშეთის მაზრის, წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ზაქარია პეტრიევი, 9) კაიღასარის კვირიკე და ივლიტეს ეკკლესიის, ერევნის მაზრის მღვდელი ალექსანდრე ალავერდოვი და 10) ქაშვეთის ქ. თბილისის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი მიხეილ დავიდოვი.

II. იმერეთის ეპარქიაში:

1) სოფლის ქედის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი იულტინე მომფორია, 2) სოფლის ქვემო-ქვიტირის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი მათე ჭეიშვილი, 3) სოფლის ზაშის სულთ-მოფენის ეკკლესიის მღვდელი გერასიმე აბზიანიძე, 4) სოფლის სვირის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ალექსი ცხადაძე და 5) სოფლის დვანკითის წმ. სამების ეკკლესიის მღვდელი ისიდორე კროჭი.

III. სუხუმის ეპარქიაში:

მცირე ქალაქ ველიამინოვის მღვ. დიმიტრი სობოლევი.

---

დაჯილდოებულ იქმნენ ბედენიკით:

საქართველოს ეპარქიაში:

1) ქ. თბილისის იოანნე ღვთის-მეტყველის ეკკლესიის მღვდელი, კანდიდატი ღვთის-მეტყველებისა, თეოდორე ბოლოლიუბოვი, 2) სოფლის ზახორის, გორის მაზრის, მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი იოსებ უზნაძე, 3) სოფლის საგარეჯოს, თბილისის მაზრის, სიმეონ მესვეტის ეკკლესიის მღვდელი ვასილი ქიტიევი, 4) სოფლის პატარძეულის, თბილისის მაზრის, თომას ეკკლესიის მღვდელი ისიდორე კურხული, 5) სოფლის შიბლიანის, თბილისის მაზრის, ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი ალექსანდრე ტაბლიევი, 6) სოფლის გურჯაანის, სიღნაღის მაზრის, ნათლის-მცემლის ეკკლესიის მღვდელი პოლიევკტი კარბელოვი, 7) სოფლის ვეჯინის, სიღნაღის მაზრის, ღვთის-მეტყველების ეკკლესიის მღვდელი სოლომონ ბერიტოვი და 8) სოფლის ძველი მანგლისის, თბილისის მაზრის, მიძინების ეკკლესიის მღვდელი მიხეილ მახათაძე.

გურია-სამეგრელოს ეპარქიაში:

მღვდელი ხორგის წმ. მთავარ-ანგელოზის ეკკლესიისა დავით ჯაფარიძე დაჯილდოებულ იქმნა ბედენიკით.

---

## უმაღლესი რესკრიპტი
## მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობაზედ
## 17 მარტის თარიღით.

„თქვენო იმპერატორებითო უმაღლესობავ! ვუბრძანე რა, დაიწყონ მთელს ციმბირზე რკინის გზის გაყვანა, რომელმაც უნდა შეუერთოს ბუნების მიერ უხვად დაჯილდოებული მხარენი ციმბირისა შიდა რუსეთის რკინის გზებს, მოგანდობთ თქვენ, გამოაცხადოთ ამ გვარი ჩემი სურვილი, როდესაც კვლავ მოხვალთ რუსეთის ქვეყანაში აღმოსავლეთის უცხო ქვეყანათა დათვალიერების შემდეგ. ამასთანავე გაკისრებთ თქვენ, პირდაპირის განკარგულებით უსურიის ოლქის მთავრობისა აკურთხებინოთ ვლადივოსტოკში დასაწყისი ციმბირის დიდის რკინის გზისა, რომლის გაყვანაც, სახელმწიფო ხარჯით, უკვე ნება-დართულია. ის მნიშვნელოვანი თქვენი ამ ჩემ მიერ განზრახულის ნამდვილ საერო საქმის დაწყებაში ახალ საბუთად ჰყოს ღმერთმა იმისა, რომ მე სულითა და გულით ვისწრაფვი, გავუადვილო ციმბირს იმპერიის სხვა ნაწილებთან მიმოსვლა და მით დავუმტკიცო მაგ ჩემს საყვარელს მხარეს ცხოველი ჩემი ზრუნვა მისის საკეთილდღეო წარმატებისათვის. ვთხოვ უფალს, აკურთხოს თქვენი ხანგრძლივი მოგზაურობა რუსეთში. თქვენი ჭეშმარიტი მოსიყვარულე

„ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე“.

მემკვიდრე ცესარევიჩი დაინიშნა შეფად აღმოსავლეთ-ციმბირის პირველ „სტრელკოვოი“ ბატალიონისა.

უმაღლესი ბრძანება უმართებულესის სენატის მიმართ, 17 აპრილის თარიღით: «მსურს რა სასახელოდ ჩვენის საყვარელის შვილის მისვლისა ციმბირში, წყალობა აღმოვუჩინოთ სასამართლოთა განჩინების ძალით გაგზავნილთ, რომელნიც ამ ჟამად, მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მისვლის დღესაც, ციმბირში სასჯელს იხდიან და წესისამებრ დასასახლებელსა, და სამუშაო ადგილებს არიან განწესებულნი, ვბრძანებთ: 1) კატორგაში გაგზავნილთ, რო-

მელნიც კარგის ყოფა-ქცევისა და საქმეზე მუყაითობისა გამო ღირსნი აღმოჩნდებიან შეღავათისა, სასამართლოს მიერ გარდაწყვეტილი ვადა კატორგაში ყოფნისა შეუმცირდეთ $^2/_3$-მდე და უვადო კატორგა შეეცვალოთ ოცი წლის ვადის კატორგად. 2) მცირე წლოვანებაში ჩადენილი დანაშაულობის გამო კატორგაში გაგზავნილნი არა ნაკლებ ოთხის წლის ვადით, ეხლავე ჩაირიცხნენ მხოლოდ გადასახლებულებად. 3) გადასახლებულთა და იმათ, ვინც კატორგის ვადის გათავების გამო უნდა გადასახლებულებლად ჩაირიცხნენ, თუ 4 წლის განმავლობაში კარგის ყოფა-ქცევისანი ყოფილან, კეთილად უშრომიათ და ბინადრობა გაუჩენიათ, შეუმცირდეთ კანონიერი 10 წლის ვადა გადასახლებულთა გლეხებად ჩასარიცხად და 10 წელს შემდეგ მათის კარგის ყოფა-ქცევისა გამო გლეხებად ჩარიცხვისა, მიეცეთ ნება სურვილისამებრ საცხოვრებელ ადგილის ამორჩევისა ყველგან, გარდა სატახტო ქალაქებისა და გუბერნიებისა იმ პირობით, რომ 5 წლის განმავლობაში ადგილობრივის პოლიციის მხედველობის ქვეშ იყვნენ, გარნა ყოველ გვარ უფლება ახდილის მაგიერ იგინი უნდა ირიცხებოდნენ მხოლოდ განსაკუთრებულ უფლება ახდილებად სასჯ. დებ. მე-43 მუხლის ძალით. 4) ციმბირში საცხოვრებლად გაგზავნილთ 15 წელს შემდეგ სასამართლოს განჩინების ძალაში შესვლისა, მიეცეთ ნება სურვილისამებრ საცხოვრებელ ადგილის ამორჩევისა ყველგან, გარდა სატახტო ქალაქებისა და გუბერნიებისა, მხოლოდ კანონით ახდილ უფლებათა დაუბრუნებლად; 5) გაგზავნილთ, რომელთაც დანაშაული ჩაუდენიათ 1883 წ. 15 მაისამდე და რომელთაც უკვე მიენიჭათ წყალობა ჩვენის წმ. გვირგვინის კურთხევის დღეს გამოცხადებულის უმაღლესის მანიფესტის ძალით (მუხლი 1, 3 და 4 ამ ბრძანებისა) იმას გარდა მიენიჭოთ კიდევ შემდეგი შეღავათიც: ა) კატორგაში გაგზავნილთ შეუმცირდეთ ვადა ერთის წლით, ბ) დასასახლებლად გაგზავნილნი, რომელთაც უკვე მოუპოვებიათ უფლება გლეხებად ჩარიცხვისა მიეცეთ ნება, მიეწერნენ ციმბირის ქალაქებს, თუ თვით ქალაქი ნებას დართავს, ხოლო არ შეეძლოთ-კი, გადმოსცილდნენ ევროპის რუსეთის საზღვრებს, ვიდრე ამის ნებას არ მიიღებან იმ წესით, რომელიც ზემოხსენებულს მანიფესტშია გამოცხადებული; გ) ციმბირის გუბერნიებში საცხოვრებლად გაგზავნილთ, მათს გადასახლებისაგან განთავისუფლების შემდეგ, ხსენებულის მანიფესტის ძალით ნება მიეცეთ ხოლმე. აიღონ ბილეთები აღუნიშნელად იმისა, რომ «გადასახლებულთაგანნი და გასამართლებულნი» არიან და აგრეთვე უწითელ ასოებოდ ნიშნად მათის უფლება ახდილობისა. დ) მაწანწალობის გამო ციმბირში დასაბინადრებლად გაზავნილნი, ვინიცობაა შეტყობილ იქმნა მათი წოდება, შემდეგ სასამართლოს მიერ ამის შემოწმებისა, განთავისუფლებულ იყვნენ, ხოლო ჩვენის წმ. გვირგვინის კურთხევის შემდეგ გაგზავნილთ-კი აღეკრძალოთ ცხოვრება სატახტო ქალაქებსა და გუბერნიებში. ამა ბრძანების 1, 3 და 5 მუხლში მოხსენებულ შეღავათების მინიჭებას დამნაშავეთათვის მივანდობთ, კუთვნილებისამებრ, შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალ-გუბერნატორებს ირკუტსკისასა და ამურის მხრისას, თუ იგინი დარწმუნდებიან რომ გაგზავნილნი სასჯელში ყოფნის დროს კარგის ყოფა-ქცევისანი ყოფილან.

---

## უმაღლესი ბრძანებანი.

ხელმწიფე იმპერატორმა, თანახმად უქვეშევრდომელესის მოხსენებისა უწმ. სინოდის ობერ-პროკურორისა, 9 თებერვალს ამა წლისას, უმაღლესად ინება დამტკიცება უწმ. სინოდის განზრახულებისა, შესახებ სამზრუნველოს დაფუძნებისა სასულიერო წოდების ღარიბთათვის ვლადიკავკასიის და სუხუმის ეპარქიებში, კანონში ნაჩვენების საზოგადო საფუძვლითა და დანიშვნითა შესანახად თვითოეულის სამზრუნველოთა კანცელარიისა 250 მ. წელიწადში. აღნიშნულის ფულიდგან დაენიშნა სეკრეტარს 100 მ., მწერალს 100 მ. და სხვა საკანცელარიო ხარჯად 50 მანათი.

---





მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).


**№ 9 და 10** **1883-1891** **1—30** მაისი.



შინაარსი: ოფიც. ნაწილი: უმაღლესი დაჯილდოებანი.—გახსნება უწმ. სინოდისა სამღვდელოების დაჯილდოებაზე.—განკარგულებანი საეპარქიო მთავრობისა.—უმაღლესი რესკრიპტი.—უმაღლესი ბრძანებანი.—არა ოფიც. ნაწილი: მწყემსთა და სამწყსოთა საყურადღებოდ.—საქართველოს მეფის წმ. დავით აღმაშენებლის სახელობაზე დაარსებული ძმობის შესახებ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან და ამ ძმობის წესდება.—თეკლათის დედათა მონასტერი.—საისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—მოხსენება გარდაცვალებულთა მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა.—სიტყვა ცოლ ქმრობაზე.—განცხადებანი.


## მწყემსთა და სამწყსოთა საყურადღებოდ.

მრავალნი, რომელთაც უკვე გული გაგრილებიათ ეკლესიისა და მის წესებზე, კაცის მოხსენებას მისი სიკვდილის შემდეგ საჭიროდ აღარ რაცხენ. ზოგნი კი, რომელთაც ჯერეთ კიდევ სრულიად არ გაგრილებიათ გული ამისთანა წესების ასრულების შესახებ, საჭიროდ რაცხვენ კაცის მოხსენებას მისი სიკვდილის შემდეგაც, მაგრამ თავისი სიზარმაცისა და დაუდევნელობისა გამო არ ასრულებენ თავიანთ ნაცნობთა და ნათესავთა მოხსენებას. მოხსენება გარდაცვალებულთათვის, მათთვის ლოცვა და მსხვერპლის შეწირვა არის ერთი უძველესი ჩვეულება წმ. ეკლესიისა, რომელიც დამყარებულია საღმრთო წერილზე, მსოფლიო კრებათა და წმიდა მამათა სწავლაზედ. საზოგადოდ საქართველოს ეკლესიასა და ხალხში ეს მშვენიერი ეკლესიური წესი მტკიცედ სრულდებოდა და დღესაც სრულდება, თუმცა, სამწუხაროდ, ამ წესის მნიშვნელობა და მისი ასრულების მიუცილებელი საჭიროება ძლიერ სუსტად ესმისთ არა მარტო ერისკაცთა, არამედ მათთაც, რომელნიც ვალდებულნი არიან ასწავლონ და განუმარტონ ხალხს ამ ეკლესიური წესის მნიშვნელობა და საჭიროება.

ჩვენ ხშირად მოგვდის ერის კაცთაგან წერილები, რომლებშიაც ისინი სამდურავს აცხადებენ თავიანთ სულიერ მწყემსებზედ მისთვის, რომ ეს უკანასკნელნი ყველა ამ ძველ წესებს არ ასრულებენ დღეს. ზოგი მწყემსნი თავიანთ სიტყვებში და მოძღვრებებში ურჩევენ ხალხს, რომ მან თავი დაანებოს იმ დიდ და დამღუპველ ხარჯს, რომელშიაც მათი სამწყსო ვარდება გარდაცვალებულთა სულის მოხსენების დროს, ურჩევენ, რომ ხალხმა თავი დაანებოს ალაპებს და სხვა ამისთანა, ვითომ არა სასარგებლო წეს-ჩვეულებათა!.. ეს სულიერნი მწყემსნი ალბად მიტომ ურჩევენ ხალხს ამისთანა ჩვეულებათა მოსპობას, რომ მათი სამწყსონი ამ წესს წმ. ეკკლესიის დანიშნულებისა მებრ არ ალასრულებენ და, მართლა, ხშირად სილარიბეში ვარდებიან. მაგრამ, ჩვენის აზრით, ძლიერ შემცდარნი არიან ეს სულიერნი მწყემსნი. ვის აქვს უფლება ყველა სასწავლებლების დახურვა მოითხოვოს იმ მიზეზისა გამო, რომ ერთმა და ორმა სწავლით ვერ ისარგებლა და ნაცვლად სასარგებლო სამსახურისა დიდი ვნება მოუტანა მამულს და თავის თავს? ვინ იტყვის რომ ძლიერ მავნებელი არ იყოს ის აუარებელი ხარჯი, რომელსაც ეწევიან თავიანთ გარდაცვალებულთა სულის მოხსენების დროს აფხაზები, ოსები და ზოგიერთნი სვანნიც? ვინ იტყვის, რომ ჩვენ ქართველებშიც არ სრულდებოდეს გარდაცვალებულის მოხსენების საქმე ურიგოდ, მაგრამ ეს არის ისევ ჩვენი სამღვდელოების ბრალი, ეს არის ნაყოფი ჩვენი უცოდინარობისა და დაუდევნელობისა.

ჩვენ, მწყემსნი ნიადაგ საყვედურს ვაცხადებთ, ნიადაგ ვიმდურებით, რომ ეკკლესიები შემკობილი და გამშვენებული არა გვაქვს, მიუცილებელი საჭირო ნივთები არ მოგვეძიება ეკკლესიებში და ჩვენს დამნაშაობას სხვას ვაბრალებთ. არა, ამ საქმეში ჩვენ თავის გამართლება არ შეგვიძლია. და არ შეგვიძლია იმიტომ, რომ ჩვენ არა-ვითარი ღონის-ძიება, არა-ვითარი ზომა და საშუალება არ გვიხმარია ხალხს განუმარტოთ, გავაგებინოთ და შევატყობინოთ, თუ როგორ უნდა ასრულებდეს იგი გარდაცვალებულის სულის მოხსენების ეკკლესიურს წესს. ხშირად ვესაყვედურებით ხოლმე სამწყსოთა, რომ ისინი მრავალ კერპთ-თაყვანის-მცემლურ წესს და ჩვეულებათ ასრულებენ, მაგრამ ამავე დროს ის კი გვავიწყდება, რომ ჩვენ, სულიერნი მწყემსნი, წინ მიუძღვებით და დიდ პატივსავსცემთ ჩვენს სამწყსოს ამისთანა კერპთ-თაყვანის-მცემლურ ჩვეულებათა და წესთა ალსრულების დროს!...

ჩვენ ხშირად ვემდურით სამწყსოთა, რომ იგინი ეკკლესიის სასარგებლოდ და მისი შემკობისათვის არასფერს იმეტებენ, მაგრამ ამ საქმეშიაც ჩვენს დაუდევნელობას, უცოდინარობას და გაუმჭრიახობას უმეტესად უნდა ვემდუროდეთ. მრავალნი პირნი მოსულან ჩვენთან და უთხოვნიათ სამძღვარ გარეთ მონასტრებში და ეკკლესიებში გასაგზავნი ადრესების დაწერა.

— რათ გინდათ ამ მონასტრების და ეკკლესიების ადრესები? ვკითხავთ ჩვენ.

— ფულების გაგზავნა გვინდა ჩვენ გარდაცვალებულთა საუკუნო მოსახსენებლად, გვიპასუხებენ იგინი.

— ჩვენს მონასტრებში და ეკკლესიებში, რომელნიც ასე საჭიროებენ შეწირულებას, რატომ არასფერს გზავნით?

— ჩვენს მონასტრებში და ეკკლესიებში არ არის შემოღებული გარდაცვალებულთა საუკუნო მოხსენება; ჩვენ არ გაგვიგონია, რომ ჩვენს მონასტრებში და ეკკლესიებში იყოს სადმე საუკუნო მოსახსენებელი კონდაკი; სამძღვარ გარეთის მონასტრების წინამძღვრები კი აცხადებენ დაბეჭდილის ქაღალდებით და იწვევენ მსურველთ. ამას წინედ ერთი ვილაცა ბენედიკტე ბერისაგან მივიღეთ ერთი დაბეჭდილი ქაღალდი, რომელშიაც ეს სულიერი მამა საუკუნო მოხსენებისათვის სამოც მანეთს ითხოვდა და ორმოცი წირვისათვის სამ მანეთს, როდესაც ჩვენში მარტო ორმოცის ალსრულებისათვის ორმოც მანეთს თხოვილობენ, მოგვიგეს მათ...

ამას წინედ ერთმა კონსტანტინეპოლის ვაჭარმა ურიამ მოხერხებით გამოაცხადა უფრო დაკლებული ფასი პანაშვიდისა, ორმოცის წირვისა და საუკუნო მოხსენებისათვის! მაგრამ რას წააგებდა?!.

ჰკითხეთ ეხლა ჩვენი მონასტრების და ეკკლესიების წინამძღვრებს და გამგებლებს, აქვს მათ ამისთანა საუკუნო მოსახსენებელი კონდაკები ცოცხალთა და გარდაცვალებულთათვის თუ არა? გაბედულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არც ჩვენს ხალხში, და არც ჩვენს ეკკლესიებში და მონასტრებში არსად არ მოიპოვება ამისთანა კონდაკები.

ამისათვის ჩვენ უკვე შევუდგით ამ კონდაკების დაბეჭდვას და მცირეს ხანში მზად გვექმნება იგინი

როგორც ხალხთათვის მხედრული ასოებით დაბეჭდილი, ისე ეკკლესიებში და მონასტრებში სახმარად ხუცური ასოთი. სასურველია, რომ ამისთანა კონდაკები გავრცელდეს ჩვენს ხალხში და ამით მოისპოს ჩვენში მრავალნი ცუდი და მავნე ჩვეულებანი, რომელნიც შერეულნი არიან სულის მოხსენების წესების აღსრულებაში და დაარსდეს, ეკკლესიის დადგენილობისაებრ, რიგიანი წესის აღსრულება ცოცხალთა და გარდაცვალებულთა სულის მოხსენების საქმეში. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ კონდაკების ეკკლესიებში დაარსებით და ხალხში მათი გავრცელებით ის უაზრო და უსარგებლო ხარჯი, რომელიც თითქმის თვითეულს სამრევლოს მოუდის დღეს მიცვალებულთა დამარხვის დროს, მოხმარებულ იქნება ჩვენი ეკკლესიების და მონასტრების შესამკობად და სხვა-და-სხვა საქველმოქმედო დაწესებულებათათვის. თუ როგორ უნდა ჩაიწერონ ამ კონდაკებში ცოცხალნი და გარდაცვალებულნი საუკუნო მოსახსენებლად და სხვა საჭირო დარიგებანი ცალკე იქნება გამოცხადებული ჩვენგან საყოველთაოდ და განსაკუთრებით მწყემსთათვის.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენში აღმოჩნდებიან მრავალნი პირნი, რომელნიც თავის დღეგრძელობისა და თავიანთ გარდაცვალებულ ნათესავთა სულის მოსახსენებლად ფულის შეწირვას არ დაიზარებენ.

რუსეთში ზოგიერთი ეკკლესიის ქონებამ ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა. რუსეთში ხშირია ისეთი ეკკლესიები, რომლებშიაც მათში მოსამსახურე პირთა სასარგებლოდ დიდი თანხა აქვსთ. თანხა ხელუხლებელია, რადგან მათ შემწირველებს ეს თანხები იმ პირობით შეუწირავსთ, რომ მათ არასოდეს არავინ შეეხოს, მხოლოდ მათი სარგებლით უნდა ისარგებლონ როგორც ეკკლესიის კრებულმა, ისე თვით ეკკლესიამ. შემწირველთ საუკუნო წირვა და მოხსენება აქვსთ დადებული ამ ეკკლესიებში სიცოცხლის დროს დღეგრძელობისათვის, ხოლო სიკვდილის შემდეგ ცოდვების მიტევებისა და ცხოვნებისათვის. ყოველი მღვდელი იქ ვალდებულია, რომ თავთავის დროზედ მოხსენება შეასრულოს ეკკლესიაში. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სამღვდელოება ამ საქმეს ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს და სამწყსოთა შორის გაავრცელებს ძველ მშვენიერ და ფრიად სასარგებლო ჩვეულებას—ე. ი. ეკკლესიების შემკობას, მათ გამშვენებას და სხვა მრავალ ქველი საქმეების გავრცელებას ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოხსენებით გამოწვეულთა.

## საქართველოს მეფის წმ. დავით აღმაშენებელის სახელობაზე დაარსებული ძმობის შესახებ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, მარტის თთვის 16 საქართველოს ექსარხოსმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა პალლადიმ დაამტკიცა წესდება საქართველოს მეფის წმ. დავით აღმაშენებელის სახელობაზე დაარსებული ძმობისა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან.

უმთავრესი მიზანი ამა ძმობისა, როგორც სჩანს თვითონ წესდებიდგან, მდგომარეობს მასში, რომ ამ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთ ნივთიერი შემწეობა მისცეს და მასთან წინ წასწიოს სწავლის საქმე სასწავლებელში; ამ მიზნის მისაღწევად ძმობას სახეში აქვს ღარიბ მოწაფეებს მისცეს ყოველივე საჭირო სასწავლო ნივთები, მოუპოვოს მათ შესაფერი ბინები და მისცეს სასმელ-საჭმელი და ტანთ-საცმელი და მასთან დახმარება აღმოუჩინოს იმ ღარიბ მოწაფეებს, რომელნიც ამ სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ ისურვებენ სასულიერო სემინარიაში სწავლის გაგრძელებას, ვინაიდგან მრავალნი ნიჭიერნი მოსწავლენი, საშუალების უმექონებლობისა გამო, ვერ მიდიან სასულიერო სემინარიაში.

როგორც ხედავს მკითხველი, ძმობის მიზანი მეტად მშვენიერია და იმედია, რომ ყველანი, რომელთაც კი სწავლის მნიშვნელობა ესმისთ და ცდილობენ გაავრცელონ ხალხში სასულიერო განათლება, დახმარებას აღმოუჩენენ ამ ძმობას.

ვინც იცის ქუთ. სასულიერო სასწ. მოწაფეთა უმეტესი ნაწილის ღარიბული მდგომარეობა, ის, იმედია, დაგვეთანხმება, რომ ამ ძმობის დაარსება აუცილებლად საჭირო იყო დღემდისაც. უმეტესი ნაწილი დასავლეთის საქართველოის სამღვდელოებისა ფრიად ღარიბია, მაგრამ მიუხედველად ამა სიღარიბისა თითოეულს მღვდელს და მედავითნეს სურს სწავლა მისცეს თავის შვილს და მართლაც თვითონ იკლებენ საზრდოს და უკანასკნელს გროშს თავის შვილებს უგზავნიან საზრდოდ. მაგრამ ღარიბი მშობლების შემწეობა ცოტა ოდნათაც კი ვერ აკმაყოფილებს მოსწავლეთა მოთხოვნილებას. ღარიბი მშობლების მოწაფეებს შინიდგან მოდისთ სამი ბათბანი სიმიდის ფქვილი, ცოტა ოდენი ლობიო და ბინადრობენ ისეთ სახლებში, რომლებშიაც ზამთრობით საქონელსაც არ დააბამს ზოგიერთი კაცი. ასეთმა მოწაფეებმა შეშა თვითონ უნდა მოიტანონ და სასმელ-საჭმელიც თავის ხელით მოამზადონ. სწავლა თავდება სასწავლებელში ნაშუადღევის 2 საათზე. დაღლილი და დამშეული მოწაფე მიდის ბინაზე, ინახავს წიგნებს და მერე შეუდგება საჭმლის მომზადებას. ამ გვარი მოწაფეების უმეტესი ნაწილის საზრდოს შეადგენს მჭადი და სასმელს წყალი, ნასადილევს მოწაფე შეუდგება მეცადინეობას, მაგრამ საჭირო სახელმძღვანელოებიც არა აქვს, რომ გაკვეთილები მოამზადოს. იგი იძულებულია მოძებნოს ისეთი ამხანაგი, რომელსაც საჭირო წიგნები აქვს და მასთან ერთად დაისწავლოს გაკვეთილი, თუ მოასწრო. შემდეგ უნდა შეუდგეს ვახშმის მომზადებას, თუ აქვს რამე, წინააღმდეგ შემთხვევაში მშიერი უნდა დაწვეს დასაძინებლად. ამ მდგომარეობაშია ჩვენი სასულიერო სასწავლებლის მოწაფეების უმეტესი ნაწილი. ნუ თუ შეიძლება მოვსთხოვოთ ამისთანა მოწაფეებს, რომ მათ კარგად ისწავლონ და ყოველივე მოთხოვნილება უნაკლებოდ შეასრულონ?! თუმცა ეს ასეა, მაგრამ მრავალნი უძლებენ სიღარიბეს და მშვენივრად სწავლობენ. თუ ქველ-მოქმედებას აქვს რაიმე ღირსება და კეთილს საქმეს შეადგენს ღვთისა და კაცის წინაშე, ეს შეიძლება ითქვას ამ ღარიბ მოწაფეების შესახებ. ხშირად შემწეობას ვაძლევთ ისეთ პირთ, რომელნიც სიზარმაცისა გამო ჩავარდნილან სიღარიბეში, ხელში შეჩერებიან საზოგადოებას და თვითონ ხელის განძრევა ეზარებათ. უკანასკნელი ჩვენი კაპეიკი, რომელსაც შევსწირავთ ზემოდ აღნიშნულს ძმობის სასარგებლოდ, დაიხარჯება საჭირო წიგნებზე და სასმელ-საჭმელზე იმ ღარიბი მოსწავლეებისათვის, რომელნიც შემდეგში უნდა ემსახურონ სამშობლოს. ამიტომ არ უნდა დავიზაროთ, რომ ცოტა-ოდენი შემწეობა აღმოუჩინოთ ძმობას, რადგან ჩვენგან გაცემული მოწყალება არ იკარგება, არამედ მოგებით მივიღებთ შემდეგში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კეთილ დაწესებულებას შემწეობას აღმოუჩენენ ყველანი და განსაკუთრებით, სულიერნი მწყემსნი და ჩაეწერებიან ძმობის წევრებად და მასთან მოიწვევენ გარეშე პირთაც, რომ მათთაც შემწეობა აღმოუჩინონ ძმობას. თუ საზოგადოებამ ცოტა-ოდენი დახმარება გაუწია ხსენებულს ძმობას, იგი დიდ სარგებლობას მოუტანს ღარიბ მოწაფეებს. რომ ძმობის საქმე კარგად წავა, ამაში უფრო გვაიმედებს ის გარემოებაც, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის აწინდელი ზედამხედველი ბ. ალექსანდრე ან. იაროსლავი სულით და გულით მოწადინებულია, რომ მისდამი რწმუნებული მოწაფეების ნივთიერი მდგომარეობა გააუმჯობესოს, რადგან ამ უკანასკნელზე ბევრად დამოკიდებულია სწავლის წარმატების საქმე. იმედი გვაქვს, რომ ძმობას დიდ დახმარებას გაუწევს აგრეთვე ბ. მიხეილ ნიკ. ქუთათელაძე, რომელიც არის ამ სასწავლებლის საპატიო მზრუნველი და რომელიც კარგად იცნობს მთელი ქუთაისის მცხოვრებთ.

ვბეჭდავთ აქვე ამ ძმობის წესდებას.

## წ ე ს დ ე ბ ა

**საქართველოს მეფის წმიდა დავით აღმაშენებელის სახელობაზე დაარსებული ძმობისა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთათვის დასახმარებლად.**

### 1 მიზანი ძმობისა.

§ 1 ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან დაარსებულ ძმობას უმთავრესად სახეში აქვს ნივთიერად უზრუნველ ჰყოს ამ სასწავლებლის ღარიბი მოწაფენი და, შეძლებისა და გვარ, ხელი მოუწყოს სწავლის საქმეს სასწავლებელში. ამ მიზნით ძმობა: ა) ეძებს საშუალებათა, რომ იმ მოწაფეებს, რომელნიც თავის ხარჯით იზრდებიან და არა აქვსთ თავის სა-

შუალება, მისცეს სასწავლო ნივთები; ბ) ზრუნავს, რომ ღარიბ მოწაფეებს მისცეს ბინები, სასმელ-საჭმელი, ტანთ-საცმელი, ფეხსაცმელი, სარეცხი და სხ.; გ) თავის შეძლებისა და გვარ შემწეობას უჩენს იმ მოწაფეებს, რომელნიც სწავლას ამთავრებენ სასწავლებელში და სწავლის გასაგრძელებლად გადადიან სასულიერო სემინარიაში.

## II ძმობის შემადგენლობა.

§ 2. ძმობა იმყოფება იმერეთის ეპარქიის ყოვლად სამღვდელოს მფარველობასა და ხელმძღვანელობასა ქვეშე.

§ 3. ძმობის წევრებად შეუძლიათ იყვნენ ყველანი, რომელნიც თანაუგრძნობენ სასულიერო განათლებას, ორივე სქესის პირნი, ყველა წოდებისა და მდგომარეობისა, ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელნი, გარდა მოსწავლეებისა.

§ 4. ძმობის წევრნი განიყოფებიან:. ა) საპატიო, ნამდვილ და თანამგრძნობ წევრებად.

§ 5. ძმობის საპატიო წევრებად ითვლებიან პირნი, რომელთა დახმარებას ძმობა დაინახავს ძლიერ სასარგებლოდ, ანუ რომელნიც შესწირავენ ძმობის სასარგებლოდ არა ნაკლებ 100 მანეთისა ერთ დროებით.

§ 6. ნამდვილ წევრებად იწოდებიან პირნი, რომელნიც ყოველ წლობით შეიტანენ ძმობის კასაში არა ნაკლებ სამი მანეთისა და შეკრებენ, ძმობისაგან მიცემულ შესაკრებელი ფურცლებით, შეწირულებათა თავის ნაცნობებში.

შენიშვნა [1]). პირნი, რომელნიც ერთ დროებითად შესწირავენ ძმობის სასარგებლოდ არა ნაკლებ 60 მანეთისა, იწოდებიან ნამდვილ წევრებად სამუდამოდ.

შენიშვნა [2]). ზედამხედველი სასწავლებლისა და მისი თანაშემწე იწოდებიან, თავიანთი თანამდებობის დაგვარად, ძმობის ნამდვილ წევრებად.

§ 7. პირნი, რომელნიც ძმობის კასაში ყოველ წლობით შეიტანენ ნაკლებ 3 მანეთისა, იწოდებიან თანამგრძნობ წევრებად, მაგრამ ამასთანავე იგინი ვალდებულნი არიან მოიწვიონ სხვანიც, რათა შესწირონ რამე ძმობას და სასწავლებელს დაეხმარონ სწავლის საქმეში.

§ 8. ძმობის პირველ დამაარსებელ პირებად ითვლებიან ის პირნი, რომელთაც ხელი მოაწერეს წესდებაზე ძმობის გახსნამდის.

## III ძმობის საშუალებანი.

§ 9. ძმობის საშუალებას შეადგენენ: ა) წევრთაგან ყოველ წლიური და ერთ დროებითი შეტანილი და შეწირული ფულები, როგორც წევრთაგან, ისე გარეშე პირთაგან, ფული ანუ ნივთები, რომელნიც საჭირონი არიან მოწაფეთათვის, აგრეთვე სხვა და სხვა წიგნები; ბ) ნამდვილ და თანამგრძნობ წევრთაგან მათ ნაცნობ პირთა შორის შეკრებილნი შეწირულებანი; გ) ადგილობითი სამღვდელოებისაგან ყოველ წლობით შეწირული 300—500 მანათი, რომელიც ინიშნება ღარიბ მოწაფეთა შესაწევნელად; დ) შემოსავალი, რომელიც შემოვა სალიტერატურო კითხვებისა, სასულიერო კონცერტებისა და სხვათა კრებათაგან, რომელნიც ნება დართულნი იქნებიან მთავრობისაგან თანახმად დადგენილ წესდებათა.

§ 10. საპატიო და სამუდამო წევრთაგან შეტანილ ფულებისაგან სდგება სათადარიგო თანხა ძმობისა, რომელიც უნდა გამოიცვალოს სარგებლიან ქაღალდებში, და რომელნიც მოპოებულ უნდა იქმნენ ძმობის სახელზე და დაცულნი თბილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში. ამ თანხის სარგებელი მოხმარებულ უნდა იქმნეს საჭირო ხარჯების დასაფარავად.

§ 11. ყოველ წლიურ წევრთაგან შეტანილ და სხვა შეწირულ ფულების ოცი სარგებელი ჩარიცხულ უნდა იქმნეს სათადარიგო თანხაში, ხოლო დანარჩენი ოთხმოცი სარგებელი მოხმარებულ უნდა იქმნეს საჭირო ხარჯების დასაფარავად.

შენიშვნა). ძმობის ფული ინახება სახელმწიფო ბანკში მიმდინარე ანგარიშით, ხოლო ბანკში შეტანამდის, ეს ფული ინახება ხაზინადართან, რომელიც ამა წესდების 13 და 14 §§ ძალით არჩეულ უნდა იქმნეს 3 წლით.

§ 12. ძმობის საქმეებს განაგებენ რჩევა და საზოგადო კრებანი ძმობის წევრებისა.

### ა. ძმობის რჩევა

§ 13. რჩევას შეადგენს თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, ნამდვილი წევრნი, ხაზინადარი, საქმის მწარმოებელი და კიდევ 3 პირი.

§ 14. რჩევის ყველა წევრნი, გარდა ნამდვილი წევრებისა, რომლებათ ითვლებიან ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი და მისი თანაშემწე, ირჩევიან ძმობის საზოგადო კრებისაგან 3 წლით ნამდვილ წევრთაგან დახურული კენჭის ყრით.

შენიშვნა. [1]) სამის წლის გათავების შემდეგ ესევე პირნი შეიძლება ალრჩეულ იქმნენ ხელახლად.

შენიშვნა. [2]) საქმის მწარმოებლად და ხაზინადრად ალრჩეულ უნდა იქმნენ უსათუოდ ქუთაისში მცხოვრებნი პირნი.

§ 15. ხაზინადრის და საქმის მწარმოებლის დროებით სადმე სხვაგან წასვლის დროს, მათი თანამდებობის დროებით ასრულება, რჩევის შეხედვით, მიენდობა სხვა პირთ, მაგრამ ეს პირნი უსათუოდ რჩევის წევრთაგანნი უნდა იყვნენ.

§ 16. რჩევა იკრიბება თანახმად საჭიროებისა თავმჯდომარის შეხედულობით, ანუ წერილობითი განცხადების თანახმად, რომელიც შეტანილ უნდა იქმნეს რჩევის სამი წევრისაგან.

§ 17. რომ რჩევის კრება კანონიერი იქმნეს, კრებაზე უნდა დაესწროს თავმჯდომარე ანუ მისი ამხანაგი, ხაზინადარი, სასწავლებლის ზედამხედველი და ერთი ვინმე რჩევის სხვა წევრთაგანი.

§ 18. ძმობის რჩევა: ა) ზრუნავს გაამრავლოს ძმობის წევრთა რიცხვი და გაადიდოს მისი საშუალება და ამ მიზნით იწვევს შეწირულებისადმი როგორც მის წევრთ, ისე გარეშე პირთა, რომელნიც შესანიშნავნი არიან თავის ქველმოქმედებით; ბ) იხილავს მოწაფეთა საჭიროებათ თანახმად მათი მშობლებისა და მზრუნველების განცხადებისა, სასწავლებლის მთავრობის განცხადებისა და, ანუ თვით რჩევის შეხედვით; გ) მართავს მიწერ-მოწერას ქვემდებარე პირებთან და ადგილებთან; დ) აწარმოებს შესავალ-გასავლის ანგარიშს, თანახმად საზოგადო კანონისა; ე) ყოველ თთვეში ამოწმებს ძმობის ფულებს და ქონებას, ადგენს ყოველ წლიურ ანგარიშს ძმობის მდგომარეობისა და მოქმედების შესახებ და ამ ანგარიშებს უდგენს თავის წინადადებასთან ერთად ძმობის საზოგადო წლიურ კრებას. ანგარიშები დაბეჭდილი უნდა იქმნეს ადგილობით გაზეთებში; ვ) რჩევა ნიშნავს ძმობის საზოგადო შეკრებილებათა დღეებს და აცხადებს უმთავრესს კითხვებს, რომელიც უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს კრებამ.

შენიშვნა [1]). ხაზინადარი აძლევს ფულებს, აწარმოებს შესავალ-გასავლის წიგნებს და ადგენს წლიურ ანგარიშს.

შენიშვნა [2]). შესავალ-გასავლის წიგნები ეძლევიან ხაზინადარს ძმობის ბეჭედ დაკრული, თავსმჯდომარის და საქმის მწარმოებლისაგან ხელმოწერილი.

### ბ. ძმობის საზოგადო შეკრებილებანი.

§ 19. საზოგადო შეკრებილებანი იქნებიან წლიური, რომელიც ინიშნება ყოველი წლის იანვრის თთვის 26 და არა ჩვეულებრივი, რომელიც ინიშნება რჩევის დადგენილობით ანუ ძმობის ოცი წევრისაგან შეტანილი წერილობითი განცხადების ძალით.

§ 20. საზოგადო კრებებში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ როგორც რჩევის წევრთ, ისე ყველა მსურველთ ძმობის ნამდვილ და საპატიო წევრთაგან.

შენიშვნა [1]). საზოგადო კრება უნდა მოხდეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შენობაში.

შენიშვნა [2]). ადგილი, დრო და საგანი საზოგადო კრებათა, თავის დროზე უნდა ეცნობოს მის ყოვლად უსამღვდელოესობას იმერეთის ეპისკოპოსს.

§ 21. საჭიროების დროს ძმობის რჩევას შეუძლია, თავის შეხედვით, მოიწვიოს საზოგადო კრებაზე ძმობის თანამგრძნობი წევრნი, რომელთაც ეძლევათ ხმის უფლება.

§ 22. საზოგადო კრებათა საგანს შეადგენს: ა) განხილვა ანგარიშისა და მათი წარდგენა მღვდელმთავრისადმი; ბ) ძმობის საპატიო წევრთა ალრჩევა და დამტკიცება ზოგიერთი წევრებისა სამუდამო წევრებად და ამ პირებისათვის ამ შემთხვევაში დადგენილ მოწმობათა მიცემა; გ) ალრჩევა საპატიო წევრთა, თავსმჯდომარისა და რჩევის სხვა წევრებისა; დ) განხილვა წინადადებათა წესდების შეცვლის და დამატების შესახებ; ე) ალრჩევა სარევიზიო კომმისიისა 3 წევრისაგან, კასის და რჩევის შესავალ-გასავლის წიგნების შესამოწმებლად; და ვ) სარევიზიო კომმისიის ანგარიშების განხილვა.

§ 23. ძმობის წესდების შეცვლის და დამატების შესახებ, აგრეთვე ძმობის მოქმედების შეჩერების შესახებ გამოთხოვნილ უნდა იქმნეს ნება-რთვა დადგენილის წესით.

§ 24. საქმის მწარმოებელი ადგენს რჩევის და საზოგადო კრებათა ჟურნალებს და წლიურ ანგარიშებს, აწარმოებს ძმობის წევრთა სიებს მათი ადრესების და შესატანი ფულების რაოდენობის აღნიშვნით და იმ პირთა სიებს, რომელთაც მიიღეს შემწეობა; ამოწმებს რჩევისაგან ყველა მიღებულ ქაღალდებს და საზოგადოდ აწარმოებს ძმობის ყოველივე საქმეს.

**შენიშვნა.** საქმეები, საზოგადოდ ყოველივე მიწერ-მოწერა ძმობის შესახებ, ინახებიან ცალკე, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში.

§ 25. რჩევის კრებათა ჟურნალების შინაარსი იბეჭდებიან ერთ რომელიმე სასულიერო გაზეთში.

§ 26. ძმობას აქვს თავისი ბეჭედი, შემდეგი ზედ-წარწერით: „ძმობა საქართველოს მეფის წმიდა დავით III აღმაშენებლისა“.

§ 27. თუ რომელიმე გარემოებათა გამო ძმობა შეაჩერებს თავის მოქმედებას, მაშინ ყოველივე მისი ფული უნდა დაიცვალოს სახელმწიფო სასარგებლო ქაღალდებზე და შთარიცხულ უნდა იქმნეს ქუთაისის სასულიერო სასწ. სამმართველოს ჯამთა აღრიცხვის გარეშე ფულებად, შესაწევნელად, სასწავლებლის მთავრობის მიხედვით, იმ ღარიბ შაგირდებისა, რომელნიც იზრდებიან თავის ხარჯით, ამასთანავე ძმობის ყველა საქმეები გადაცემულ უნდა იქმნენ სასწავლებლის სამმართველოს გამგეობაში.

## თეკლათის დედათა მონასტერი.

ამა თთვის ხუთს თეკლათის დედათ მონასტერში მწირველი ბრძანდებოდა გურია-მინგრელიის ყოვლად სამღვდელო გრიგორი, რომელმაც ამავე დღეს აკურთხა დეკ. დავით ლამბაშიძისაგან შემოწირული იკონოსტასის ხატები. ჩვენში ბევრმა არ იცის ზემოხსენებულის დედათა მონასტრის დაარსების ისტორია და ამიტომ მინდა ორიოდე სიტყვა მოუთხრა მკითხველებს ამ მონასტრის დაარსების შესახებ.

იმ ადგილს, სადაც ეს მონასტერია აღშენებული, ძველ დროში საზაფხულო სადგომები იყო ხოპის მონასტრის განსვენებულ წინამძღვართა. მათ ჰქონდათ აქ პატარა სამლოცველო და საცხოვრებელი სახლი. სამლოცველო იყო ძალიან პატარა. ამ რამდენიმე წლის წინათ ამ ადგილას მარტო სამლოცველო დარჩა. 1865 წელში ზედა-თეკლათის მთავარ ანგელოზის ეკკლესიის გალავანში დაბინავდა აწ უკვე განსვენებული სალომე თავდგირიძის ასული, რომელსაც თან ახლდა ერთი მონაზონი და ერთი მოსამსახურე. სალომე თავდგირიძის ასულმა აქ ააშენა ქვითკირის შენობა; შეკრიბა მონაზვნები და იწყეს მოღვაწეობა. მონაზვნები ღარიბულად სცხოვრობდნენ, რადგან მათ ნივთიერი დახმარება არა ვისგან არ ეძლეოდა. ამ მდგომარეობაში იყვნენ ისინი, სანამ სამეგრელოს ეპარქია არ მიეწერა დროებით იმერეთის ეპარქიას. შემდეგ იმერეთის ეპარქიაზე მიწერისა სამეგრელოში მობრძანდა მათი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი; მისმა მეუფებამ დაათვალიერა როგორც პირველის ისე ამ ახალი მონასტრის ადგილები, შეიტყო მონაზვნების ღარიბული მდგომარეობა. მისმა მეუფებამ ურჩია თავდგირიძის ასულს იმ ადგილს გადასვლა, სადაც აგებულია დღეს თეკლათის დედათა მონასტერი. მწყემსთ-მთავარმა გაბრიელმა გაამხნევა მონაზვნები და აღუთქვა მათ შემწეობა. თავდგირიძის ასული, თანახმად ყოვლად სამღვდელო გაბრიელის ბრძანებისა გადვიდა ნაჩვენებ ადგილზე, გაამრავლა მონაზონთა რიცხვი. გაუკეთა მათ ბინა და შემდეგ შეუდგა მზადებას მონასტრის აღსაშენებლად. რამდენიმე წლის შემდეგ თავდგირიძის ასული გადაყვანილ იქნა მღვიმის დედათა მონასტერში ყოვლად სამღვდელოს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის განკარგულებით, სადაც გადაიცვალა კიდეც. ამ დედათა მონასტერში თავდგირიძის ასულის მაგიერ დარჩა გამგებლად და უფროსად იღუმენია ათანასია (სალაყაიას ასული). დედა ათანასია გულს-მოდგინედ შეუდგა მონასტრის ასაშენებლად საჭირო მასალის მოგროვებას, მან მიმართა სხვა-და-სხვა პირებს და სთხოვა შემწეობა. გაგზავნა ორი მონაზონი გულქან და მაია შეწირულებათა შესაკრებად. ამ დედებმა თავის მეცადინეობით შეაგროვეს დიდ ძალი ფული მონასტრისათვის

და სხვა მრავალი საჭირო ნივთი. ამავე დროს სხვა მონაზონნიც ცდილობდენ შეწირულებათა შეკრებას და მათი თავდადებული მეცადინეობის ნაყოფია დღეს ამ მშვენიერს ადგილს აგებული დედათა მონასტერი. აშენდა ეკკლესია და მონაზონთა საცხოვრებელი სახლები.

მონასტრის ეკკლესიის კურთხევის დროს აღმოჩნდნენ მრავალნი პირნი, რომელთაც მიაქციეს ყურადღება მონასტრის ნაკლულევანებას და, შეძლებისა გვარათ, არ დაიშურეს შეწირულებანი. სხვათა შემწირველთა შორის დეკ. დავით ღამბაშიძემ შესწირა მონასტერს კანკელის ხატები.

ხუთს ამ მაისს, როგორც ზემოთა ვსთქვით, ამ მონასტერში სწირა ყოვლად სამღვდელო გრიგორიმ. წირვაზედ გალობდენ მონაზონნი და ყველაფერს საკითხავსაც ისინი კითხულობდნენ. განიცადენზედ მღვდელმა ვასილ მხეცურიანმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელიც აქვე მოგვყავს:

> ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძებდით და ჰპოვოთ, ირეკდით და განგეღოს თქვენ (ლუკ. თავ. 11, 9—10).

ჭეშმარიტად მრავალი ეძიეთ, მრავალი ითხოვეთ და კიდეც აღგისრულდათ თქვენი გულის წადილი, პატივცემულნო დანო! ხშირად იტყოდით ხოლმე: «როგორ შევიძლოთ ჩვენ ეკკლესიისა და სენაკის აღშენება". მაგრამ თქვენ მუდამ გახსოვდათ მაცხოვრის სიტყვა: «შესაძლებელ არს ღუთისა მიერ ყოველივე მორწმუნისათვის». (მარკოზ თავ. 10, მუხ. 27). დიახ მორწმუნისათვის ღმერთს წინასწარ განმზადებული აქვს, რათა აღუსრულოს კეთილი მოფიქრება და განზრახვა. ჩვენ ყოველნი ვხედავთ და თქვენც დარწმუნებულნი ხართ, რომ გერგოთ წილად სიტყვა მაცხოვრისა, ვითარცა კეთილ მორწმუნეთა და მოღვაწეთა. პავლე მოციქული იტყვის: არა რაი გვაქვს და ქრისტეს იესოს მიერ ყოველივე გვაქვს. თქვენ მოხვედით ამ მონასტერში თითქმის შიშველნი და არა რაის მქონენნი, დღეს აღვსილნი ხართ ღუთისა მიერ წყალობითა და შემკულნი ყოვლითა ცხოვრებითა, ხართ ბედნიერნი სულით და დაიმედოვნებულნი გულით, რადგან ნივთიერად უზრუნველ ხართ. ეხლა მოიხსენეთ სიტყვა მაცხოვრისა: ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღუთისასა და სიმართლესა მისსა და ეს ყოველი შეგეძინოსთ თქვენ. (ლუკ. თავ. 12, 22 23).

მადლითა და შეწევნითა ღუთისათა თქვენ, დანო, გაათავეთ შენობა ეკკლესიისა, გაათავეთ მას შინა აღმართვა წმიდათა და უწმიდესთა ხატთა, შეაგროვეთ მას შინა ყოველგვარნი საღმრთო და საეკკლესიო წიგნნი და საჭირო სამკაულობანი, რა უნდა ჰქნათ აწ და როგორ უნდა მოიხმაროთ იგი თქვენ? კაცი, როდესაც დააპირებს სადმე დასახლებას, პირველად იგი აღაშენებს სახლს, ეზოს გარშემო შემოზღუდავს და სანამ თავის განზრახვას არ შეასრულებს, იგი დღე და ღამე შრომობს, ხოლო როდესაც მოამზადებს სახლს, შემდეგ იწყებს მასში ცხოვრებას. დანო, მოღვაწენო და მორჩილნო! სწორედ ასე უნდა ჰქმნათ თქვენაც. აწ სულიერად არ უნდა ჰსცეთ თავთა თქვენთა განსვენება ლოცვასა, ფსალმუნებასა, სიყვარულსა და შიშსა შინა ღუთისასა. ეს ეკკლესია არის სულიერი თქვენი სადგომი სახლი, იგი არის თვით უპირველესი საჭირო საგანი, როგორც თქვენთვის, ეგრეთვე ყოველი ქრისტიანესათვის; ამ მონასტერში უნდა დასახლდეთ თქვენ სულით. თითოეულს კაცს ამ სოფელში აქვს ორგვარი ცხოვრება: ხორციელი და სულიერი. ხორციელად შენ მაშინ სცხოვრებ, როდესაც მუშაობ, შრომობ, ლაპარაკობ, მიმოხვალ ნათესავებთან, შეექცევი მათთან, აკეთებ რასმეს შენს მამულში, შენს ეზოში, შენს სახლში და ან სხვაგან შენი ხორციელი ცხოვრებისათვის. სულიერი ცხოვრებისათვის ყოველი შენი გრძნობა, ყოველი შენი მოქმედება და ლოცვა უნდა იყოს ეკკლესიაში. კაცს აქვს ორ გვარი საზრდო: ხორციელი და სულიერი. ხორციელი საზრდო არის სასმელი, საჭმელი, ტანსაცმელი, სახლი და სხვანი, რომლებიც ნივთიერად აკმაყოფილებენ ჩვენს ხორციელს ცხოვრებას, ჩვენს ხორციელს მოთხოვნილებას, და თუ ესენი მოაკლდა კაცს, იგი მოკვდება ხორციელად. მსგავსადვე სულსა კაცისასა აქვს თვისი საკუთარი საზრდო, რომელიც, თუ მოაკლდა მის სულსა, იგიცა მოკვდება. რაი არს სულიერი საზრდო? სულიერი საზრდო არის სწავლა-განათლება, ცოდნა მართალი სარწმუნოებისა, შემუშავებული კეთილმოქმედებითა, ცნობა ჭეშმარიტისა ღუთისა და თავისთავისა. აქ, ეკკლესიაში, უხვად მოგეცემათ სულიერი საზრდო და მადლი კურნებათა, თუ თვითოეული თქვენგანი შეიწყნარებთ, მიიღებთ და კეთილად მოიხმართ მას, რომლისათვის მაცხოვარი ეტყვის მსმენელთა თვისთა: «პირველად ეძიებდით სასუფეველსა ღუთისასა და სიმართლესა მისსა და შემდგომ ყოველი შეგეძინოს თქვენ".—ეკკლესია მრავალ რიგად წინადაგვიგებს ჩვენ

სასწავლებლად, განსარინებლად ჩვენის თავისა ბოროტისაგან. ეკლესიაში წაგიკითხვენ საღმრთო წიგნებსა: დავითნსა, სამოციქულოსა, წმიდასა სახარებასა; აქ წაგიკითხვენ მრავალ გვართა საყურადღებოთა ლოცვათა საეკლესიო წიგნთან, აქ წაგვიკითხვენ წმიდათა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მახარებელთა, წმიდათა მამათა, ღირსთა წმიდათა დედათა ქალწულ მოწამეთა ცხოვრებასა: თუ შენ გულ მხურვალედ ისმენ და მიჰბაძავ მათ ცხოვრებითა, აქედგან მოგეცემათ სულიერი საზრდო და სასუფეველი, ანუ სხვებრ ვსთქვათ, სულისათვის სანატრელი და სასიხარულო ბინა და ადგილი. დაგხვდება იქ მაშინ, ოდესაც სული შენი განშორდება შენს განხრწნილს ხორცს, საშინელთა წმიდათა ანგელოზთაგან. ერთი სიტყვით ყოველნი სულიერნი ფიქრნი და გრძნობანი შენნი განამტკიცო სულიერად და მიუძღვანო უფალსა, ეკლესიაში უნდა გამოუცხადო უფალსა ყოველი შენი სულიერი მდგომარეობა, ეკლესია მოგამზადებს შენ სულიერად და უკვდავად მერმისა მისთვის საუკუნო და უხილავის სოფლის ცხოვრებისათვის.

თქვენ კვალადვე უნდა შეუდგეთ შრომათა და ღვაწლთა, მოიგონეთ და ახლად გაიხსოვნეთ თქვენს გულში ცხოვრება წმიდათა ქალწულ მოწამეთა და ღირსთა დედათა. ესე ვითარად თქვენცა წმიდად განატარებთ მთელს თქვენს ცხოვრებას.

ზემოთქმულის კეთილ შრომათა, მეცადინეობათა და ღვაწლთა თქვენთათვის მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გიძღვნისთ თქვენ, დანო მონასტრისანო, მწყემსთმთავრულს ლოცვა კურთხევას, გადმოგცემსთ გულითადს მადლობას, ესრეთი თქვენ მიერ მხნედ შედგომისა და განსრულებისათვის წმიდის მონასტრისა, გარშემო მისს ზღუდეთა საიმედოთა და ბანაკთა თქვენთათვის. დაუვიწყარად აქვს სახეში მისს მეუფებას, რომ იგი იქონიებს საკუთარს ყურადღების მიქცევას ამა მონასტრისადმი ყოვლის მხრით. გარნა თქვენ, დანო, განმხნევდით აწ უფრო და უფრო შეეცადეთ მონასტრის წარმატებისათვის, ისე როგორც სულიერის ცხოვრებისათვის გაუმჯობესობაზე ხართ თქვენ გამსჭვალულნი. მიიღეთ აწ ტალანტი ასარგებლეთ იგი თქვენს გულში, გაუდგით მას ფესვი თქვენს გონებაში, რომ არ გახმეს და არ მოჰკვდეს. დანო მონასტრისანო, ერთიღა უნდა დაუმატო ამ ჩემ მიერ თქვენდამო დარიგებას: მაცხოვარი გვამცნებს და გვიბრძანებს მსმენელთა მისთა: ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყვა ღუთისა და დაიმარხონ იგი (ლუკ. თავ. 11, 28). ჩვენ მაშინ ვიქმნებით ნეტარი და სულიერს სანატრელს მდგომარეობაში, როცა აღვასრულებთ მცნებათა, მოძღვრებათა და დარიგებათა მაცხოვრისათა მოთმინებით, მარხულობით, ლოცვასა, ფსალმუნებასა შინა.

აწ ვსთხოვ ღმერთსა, რათა ეკლესია ესე იქმნეს მკურნალად თქვენდა და ყოველთა მსასოებელთა მოსავთა მისთა, ყოვლის სულიერისა და ხორციელისა მომაკვდინებელისა სენისა, სნეულებისა და მავნებელისაგან, ეცადენით, დანო, რომ კეთილად მოიხმაროთ იგი და ეს თქვენი მაღალი დანიშნულება და ღტოლვილება განამართლოთ წინაშე ქრისტეს ღუთისა, რათა გიწოდოს თქვენ მაცხოვარმან: «ესე არს ძმა ჩემი, და ჩემი და დედა ჩემი». — ამინ.

---

## საისტორიო მასალა.

# გუჯრები

(გაგრძელება*).

### ნინო წმინდა.

1779 ქ:. ჩვენ ყოვლისა ზემოისა საქართველოისა მეფემან უფლისა მიერ ცხებულის მეფის თეიმურაზის ძემან ირაკლი მეორემან და ძმამან ჩვენმან ყოვლისა ზემოისა საქართველოისა მამათ მთავარმან მეფის ძემან ანტონი ვბრძანეთ და განვაწესეთ და დავსწერეთ ბრძანება ესე შენდა მომართ ყოვლად სამღუდელოო ნინო წმინდელ მიტროპოლიტო უფალო საბა, ვინათგან ძუელთა გუჯრებთა შინა ეკკლესიისა შენისათა მეფეთა წინაპართა ჩვენთა მიერ ბოძებულთა ესრეთ წერილ იყო ვითარმედ ღოღოს რქის მონასტერი ყოვლად სამღუდელოს ნინოწმინდლისათვის მიგვიბარებიაო სხვას ხელი არავისა აქვსო, გარდა იმისა ვინცავინ ნინო წმინდელი იყოს, და ოდეს ცოდვათა ჩვენთათვის უმკვიდრო იქმნა და დაიცალა მონასტერი ღოღოსი, მისი მამული და ყმა და სამკაული ყოველივე თქვენ მოგვებარათ. ხოლო

*) იხ. «მწყემსი» № 8 1891 წ.

ჩვენცა განვაწესეთ და დავამტკიცეთ ესე დიდსა გუჯარსა შინა ჩვენ მიერ შენდამი ბოძებულსა, და ვინაიდგან არა მცირედი ზრუნვა გაქვნდა მონასტერთათვის უდაბნოსათა, ვითარცა მწყემსსა და მაკურთხეველსა და მოურნედ ზედა მდგომარებსა მათსა მოხველ აწ და ვედრება ჰყავ ჩვენდა მომართ რომელ დავით გარეჯის მონასტერი იწრო ყოფასა შინა არსო, სახმართა ნივთთა საჭიროებისაგან და ჩემდა მობარებული დოდოს მონასტრის ყმადა მამული მათ მიაბარეთო, აშენებადმდე მონასტრისა მის. ჩვენც მოხსენებაი შენი კეთილად ვრაცხეთ და მივაბარეთ მოხსენებითა შენითა დავით გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტს გერმანეს და კრებულსა მის მონასტრისასა, დოდოს მონასტრის ყმა და მამული, გარდა ბრძანებითა და განწესებითა ამით ვითარმედ ოდეს ინებოს ღმერთან და მადლითა მისითა კვალად ალემართოს და აღშენდეს მონასტერი დოდოსი ჩვენ მიერ ანუ ხვათა მიერ, და ყოველივე რაც იყოს მონასტრისა მის ყმადა მამული მყისთანად გამოებაროს ბრძანებითა ჩვენითა შენ მიერ გინა შემდგომთა მოსაყდრეთა შენთა მიერ დავით გარეჯის არქიმანდრიტს და კრებულთა და ყოველივე მიეზღოს დოდოს მონასტერს დაუკლებელად, გარნა აწცა ნუ მოაკლებ ზედამხედღუელობასა მონასტრისა მის მამულსა და ყმას რათა ძალდატანებით და უსამართლოდ მსახურებით არავინ შეაწუხოსთ. ხოლო აწ მაღალ ღირსო დავითო გარეჯის არქიმანდრიტო გერმანე ვინაიდგან შენდა რწმუნებულ არს თანამდებობისაებრ დოდოს მონასტრისა ყმისა და მამულის მოურნეობას ნუ დააცადებ ხოლო ბრძანებანი ესე ჩვენნი ეგენ მტკიცედ უმერყად და პირუქცეველად, სანამდის წმინდის დოდოს მონასტერი [1]) აღშენდებოდეს. ესრეთ უნდა ეგოს. დაიწერა ბრძანება ესე და განწესება ხელითა კარისა ჩვენისა მდივანგ მწიგნობრის თუმანიშვილის სულხანისათა მთიბათვის ქმ, ქორონიკონსა ჳჲზ.

---

### ნინო წმინდა.

1795 წ. მთავარ ეპისკოპოზმა ანტონიმ უჩივლა მახობა ქუთათელაძეს. შენს კაცებს ჩემის ეკლესის სანთელი ემართათ ბევრათ, და ბატონმა მეფემ ბოქოლი მიბოძა, და მისი პირით გთხოვე და შენ საჩხუბრად მოინდომე, და რადგან ეკკლესიას თავისი ბევარა სანთელი არ მოართვი ამისთვის ეკლესიისაგან შესლად დაგაყენე, და შენ არ შეიგონე, არც შემომეხვეწე და არც შენდობა ითხოვე და ამაში შვიდითვე გავიდა და აღდგომას ნინო წმიდელი იოანე იყო ჩემთან, და მძლავრებით შედი ჩემს ეკკლესიაში, და დეკანოზმა რომ დაგითხოვა, ლეკურით შეუტევე და კარში გამოაგდებინე და იმ დღეს წირვა დათმობინე, და მის შვილებს სიკუდილის დაპირდი, და შენგან ეკკლესიაც გატეხილი მაქუს, მღვდელთ მთავარიც გალახულა და დეკანოზიც, და ბევარაც წართმეული მაქუს და ეს საქმები მჭირს შენგან, ეს საქმე ნინო წმიდელს წერილით დაემტკიცებინა, რომ მახობამ სწორეთ ასე ქნაო: დეკანოზი მოძღვარი არის მახობასი, და შეჩვენებით თქუა სწორეთ ასე იყოვო ეს საქმე; და ეგრეთვე პასარიონ მღვდელმა დამტკიცა, და ამათან სხვა სამღვდელო კრებულიც მოვიდნენ და ისინიც ასე მტკიცედ ემოწმნენ: და აწ ჩვენ ასე გავაჩინეთ, რადგან ორი მღვდელთ-მთავარი და მისი მოძღვარი, და სხვათა სამღვდელო კრებული ესრეთ ემოწმებიან და შეჩვენებით ამტკიცებენ. ამასთან სხვა სიტყვა დაური ყოველივე ტყუილი იქმნება. მღვდელთ მთავრის შეურაცხების, და დეკანოზის და ეკკლესიის წინა აღდგომობის, და კვალად ეკკლესიაში გახველით და ქადაგების გარდასახადი ამას არ შეგვძლებოდა, და ესეოდენის დანაშაულებისათვის შევამოკლეთ, და ყველათ ხელათ უნდა მიეცეს მახობა მთავარ ეპისკოპოსს, სახორციელო სამართალი ჩვენ ამის მეტი ვერ შევძელით, და სასულიეროთ თვით განაწესონ: წულუკიძის წყალობას და მინაცემს გარდა: თავისის ყოფით მიეცეს მახობა მთავარ-ეპისკოპოსს: ოკტონბრის: ქზ. ქრისტეს აქათ, ჩღჟე ° ° ° 0:—

ჭ. მეფე იმერეთა მეორე სოლომან დავითიანი ვამტკიცებ. ნებითა ღვთისათა.

**მეფეთა მეფე სოლომონ.**

---

მე წულუკიძე კაცია. ამა მათის უმაღლესობის მეფის მდივან ბეგების განჩინებას ვამტკიცებ და თანა

---

შენიშ. [1]) სამს სტრიქონში გადმოცემულია შინაარსი ამ გუჯრისა დ. ფურცელაძის წიგნში. თარიღი 1778 წ. შეცდომა უნდა იყოს, რადგან ჳჲზ=1779.

ნინო წმინდა სძევს სამს ვერსზედ საგარეჯოდან.

მოწამე ვარ და ჯერ მიჩნს და მორჩილ ვარ ამა ზემო წერილისა აღწერილისა.

(ბეჭედი წულუკიძისა.

---

მ. ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი: დოსითეოს ვამტკიცებ წიგნსა ამას და ვინც ეს გასტეხოს წმიდის სამებისაგან შეჩვენებული იყოს სულით და ხორცით:

(ბეჭედი)

---

მ. ყოვლად სამღვდელო გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი ვამტკიცებ წიგნსა ამას და ვინც ეს გასტეხოს წმიდის სამებისაგან შეჩვენებული იყოს სულით და ხორცით.

(ბეჭედი)

## ახალი ამბები და შენიშვნები.

პეტერბურგი. იაპონიიდგან მიღებულ ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, რომ ბოროტ-განმზრახველი, რომელსაც ჰსურდა მემკვიდრე ცესარევიჩი მოეკლა, ადგილობრივი მცხოვრები ყოფილა, სახელად ტუდა და 8 წელიწადია თურმე, რაც პოლიციაში ემსახურება. როდესაც ცესარევიჩი ამალითურთ ქალაქ ოტსაში ხელის ეტლებით მიბრძანდებოდა, იქვე მდგომი პოლიციელი ტუდა მიჰვარდა მის უმაღლესობას და ხმალი დაჰკრა თავში. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის პრინცმა გეორგმა ჯოხი დაჰკრა ბოროტ-განმზრახველს, იგი ხელ მეორედ გაექანა ცესარევიჩისაკენ, მაგრამ იმ იაპონიელმა, რომელსაც მემკვიდრეს ეტლი მიჰქონდა, უკან გადმოაგდო. ამ დროს მეორე მეეტლემ წაქცეულს ბოროტ-განმზრახველს ხმალი წაართვა ხელიდგან და დასჭრა-კიდეც მძიმედ. ცესარევიჩს ჭრილობა უკვე მოურჩა.

* *
*

იოკოღამა. (პირდაპირ მოსული დეპეშა დილით, 11 მაისს ახალის სტილისა). მემკვიდრე ცესარევიჩი წაბრძანდა ამალით კიოტოდამ ოტსუს. მისმა უმაღლესობამ ისაუზმა გუბერნატორთან და შემდეგ წაბრძანდა ბივის ტბის სანახავად. გზაზედ მრავლად იდგნენ პოლიციელები. მათ შორის ერთმა ამოიღო ხმალი, მივარდა მემკვიდრე ცესარევიჩს და დაარტყა თავში. ხმალი ქუდს მოხვდა და იმიტომ ძლიერ ველარ გასჭრა. მემკვიდრე ცესარევიჩს მხოლოდ ორი ჭრილობა აღმოაჩნდა შუბლზე. ბოროტ-მოქმედი, ცხადია ფანატიკოსია, წააქციეს და შეიპყრეს. იმასობაში დასჭრეს კიდეც. მემკვიდრე ცესარევიჩს მაშინვე შემწეობა აღმოუჩინა მკურნალმა. ჭრილობა მემკვიდრე ცესარევიჩისა სუბუქი აღმოჩნდა და მცირე მოსვენების შემდეგ მისი უმაღლესობა ისევ კიოტოს დაბრუნდა. მივიდა თუ არა ეს სამწუხარო ამბავი ტოკიოს, იაპონიის იმპერატორმა უბრძანა პრინცს კატაშირაკავას დაუყოვნებლივ წასულიყო კიოტოს და თან წაეყვანა მკურნალები, თავადაც, ღრმად შეძრწუნებული ამ ამბით, გაეშურა კიოტოს. მეორე დილით და 13 მაისს ინახულა მემკვიდრე ცესარევიჩი. მისმა უმაღლესობამ სთქვა, რომ ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით უნდა დავბრუნდე გემს «Память Азова»-ზედ. ეს ამბავი მწუხარებით მიიღო, როგორც იაპონიის იმპერატორმა, ისე საზოგადოდ ყველამ. როცა მემკვიდრე ცესარევიჩი ემზადებოდა გემზე დაბრუნებისათვის, იაპონმის იმპერატორი ბრძანდებოდა კობეს. ზემოხსენებულმა ამბავმა დიდად აღელვა და დიდს მწუხარებაში ჩააგდო იაპონიის ერი; ყველგან, საცა კი ჰნახავდნენ მემკვიდრე ცესარევიჩს, გულ-წრფელობითა და გულ-მხურვალებით ეგებებოდნენ დიდს სტუმარს. იმპერატორიცა, წარჩინებულნიცი და ერიც დიდად დაღონა იმ გარემოებამ, რომ მისს უმაღლესობას აღარ შეეძლო დათვალიერება ქვეყნისა; მაგრამ რაკი შემდეგ გაიგეს, მემკვიდრე ცესარევიჩი უკეთ ბრძანდებაო, ყველას იმედი მიეცა, რომ მისი უმაღლესობა ისე არ წაბრძანდება იაპონიიდგან, ტოკიო არა ჰნახოსო.

*
* *

გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული კანონები წერა-კითხვის სკოლებისა. ამ კანონთა ძალით ყოველს ეპარქიაში მართლ-მადიდებელ სამღვდელოებას ნება ეძლევა დაარსონ ზემოხსენებული სკოლები. ამ სკოლების ხელმძღვანელნი უნდა იყვნენ მრევლის მღვდელნი, რომელთაც მოზარდ თაობას უნდა შეასწავლონ ჭეშმარიტებანი სარწმუნოებისა და ქრისტიანულის ზნე-

ობისა და განუმტკიცონ მოსწავლეთა სრული ერთგულება ხელმწიფისა და მამულისადმი.

***

სოფლის მარტოთუბნის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის მ. ალექსი სალაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში გამოსაცხადებლად:

„მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ გულითადი მადლობა შევსწიროთ ქვემოდ აღნიშნულ პირთ, რომელთაც ჩემდამი რწმუნებულს ეკკლესიას შემოსწირეს სხვა და სხვა საეკკლესიო ნივთები და მასთან გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემწირველთა სიაც“.

აზნაურმა იოსებ ქ. ცქიტიშვილმა შესწირა ერთი წყვილი ბაირაღი, ღირებული 50 მ.; ქალაქ ბათუმში მოვაჭრემ სპირიდონ კალატოზმა — მაცხოვრის 1 ხატი და 1 დიდი შანდალი, ღირებული 40 მ.; დაბა ყვირილაში მოვაჭრემ იორამ გაჩეჩილაძემ — ღვთის-მშობლის 1 ხატი და 1 შანდალი, ღირებული 10 მანეთად; გლეხმა ტარასი თ. ქემაშვილმა — მაცხოვრის 1 ხატი, ღირებული 3 მანეთად.

***

დანიშნული მისაღებად სახელმწიფო ხაზინიდგან, თანახმად დამტკიცებულისა სახელმწიფო საბჭოს დადგენილებისა, 22 იანვრიდგან 1891 წლისა, ათას ორმოცი თუმანი (10400 მანათი), შესაბამად 16 კრებულისა, სუხუმის ეპარქიის, აბხაზეთის და სამურზაყანოს ეკკლესიათა როგორც გვაუწყებს «საქართველოს საექსარხოსო სასულიერო მოამბე», უნდა განაწილდეს კრებულთა შორის ქვემო აღნიშნულ სოფელთა: 1) რეპის, 2) ნიკოლაევკის, 3) ბარღეპის, 4) გუდაუთის, 5) მერხეულის, 6) აბჟაკვინის, 7) ბესლაგუბის, 8) ოგობაეთის, 9) შემქლეთის, 10) ცარჩეს, 11) მუხურის, 12) ბარგეფის, 13) ფშაფის, 14) ბარმიშის, 15) ზვანდრიფშის და 16) ათარისა, 650 მანათი თვითოეულის კრებულისათვის, რომლიდგანაც ორმოც-და-ათ-ათი თუმანი (500 მანეთი) დაენიშნებათ მღვდლებს და ხუთმეტ-ხუთმეტი თუმანი (150 მ.) დიაკვნებს.

„ „ „

ამა მაისის თთვის 8, 9, 10, 11 და 12 რიცხვებში თავად-აზნაურთა კრება იყო ქუთაისში. კრებას უნდა აერჩია მაზრების და გუბერნიის მარშლები. გუბერნიის მარშლად დარჩა ისევ თავადი ს. წერეთელი, შორაპნის მაზრაში — უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი, ქუთაისის მაზრაში თავადი კონსტანტინე წერეთელი, გურიაში ახლად აღრჩეულ იქნა თავ. მაჭუტაძე, ნაცვლად თავ. სიმონ გუგუნავასი, ხოლო რაჭაში თავ. ალექსანდრე მ. წერეთელი ნაცვლად ბ. გკიტაშვილისა.

***

ამავე თთვის 21, 22 და 23 რიცხვებში ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა კრება იყო ქუთაისში. ამ კრებას, სხვათა შორის, უნდა განეხილა ბანკის ზედამხედველი კომიტეტის დადგენილობა ამავე ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ბ. კოლისტრატე ნ. ჩიკვაძის გადაყენების შესახებ სამსახურიდგან. ბანკის მეთვალყურე კომიტეტის წევრები განონიერად არ რაცხდენ ჩიკვაძის აღრჩევას. გაზეთები, განსაკუთრებით, „Нов. Обоз.“ ამტკიცებდა, რომ მთელ ქუთაისის გუბერნიის «ინტელიგენციას» არ სურს ჩიკვაძე ბანკის მართველად. რუსეთის და იაპონიის მეგაზეთეებიც კი დაისმარეს ჩიკვაძის დათხოვნისათვის!... ერთი სიტყვით სიტყვა «ინტელიგენცია» ასი ათასჯერ იხმარეს. 21 ამ მაისს შექნა უგანასკნელად ბაასი, სხვათა შორის, იმაზედ, რომ შეეტყოთ ჩიკვაძის მოწინააღმდეგე «ინტელიგენციის» რაოდენობა. დასდგეს კენჭის საყრელი ყუთები. კრების ზალა გაიმსო მეკენჭეებით. მეკენჭეების წევრთა რიცხვი იყო ხუთას-ოთხმოცი. ხუთას-ოთხმოც წევრში ძლივს აღმოჩნდა ჩიკვაძის წინააღმდეგი 15 კაცი! ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ კიდევ აღძრეს კითხვა ჩიკვაძის წინააღმდეგ ზოგიერთმა თავგამოდებულმა გაზეთებმა, მაშინ ამ 15 კენჭის რიცხვი 7-ზე დავა! სამწუხარო ამ შემთხვევაში ის არის, რომ ამის შემდეგაც ზოგიერთი ბეჭდვითი სიტყვის გავლენით დიდათ მეტიჩრობენ და საზოგადოებაში გავლენიან პირებად სთვლიან თავიანთ თავს!...

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და ქეთილ-ზნეობაზედ.

## მოხსენება გარდაცვალებულთა მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა.

დიდი მნიშვნელობა, სარგებლობა და მიუცილებელი საჭიროება შეწირულობათა და განსაკუთრებით უსისხლო მსხვერპლის შეწირვა გარდაცვალებულთათვის.

წმ. სარწმუნოება ai რას გვასწავლის ჩვენ ცოდვილთა საიქიოს მდგომარეობაზედ: «სულთა გარდაცვალებულთასა, რომელნიც შთავარდენ სასიკვდინე ცოდვაში მაგრამ სიკვდილის დროს სასოწარკვეთილებაში არ შთავარდნილან და სხეულისაგან სულის განშორებამდი მოინანეს, მაგრამ მათ ვერ მოიტანეს ნაყოფი მონანებისა ლოცვითა წმ. ეკკლესიისათ, შეუმსუბუქდებათ მიღება ზეციურისა სასუფეველისა. ამ შემსუბუქებას მიიღებენ იგინი დაუსრულებელითა სახიერებისა ღვთისათა, ლოცვითა მღვდელისა და კეთილთა საქმითა, აღსრულებულთა გარდაცვალებულთათვის და განსაკუთრებით უსისხლო მსხვერპლის შეწირვითა, რომელსაც მღვდელი შეასრულებს კერძოდ თითოეულის ქრისტიანის და მის მოყვასთათვის და საზოგადოდ ყოველთათვის ყოველს დღეს. ზემო ნათქვამი სიტყვებისა მებრ წმ. ეკკლესია ერწმუნება, რომ სულნი მრავალთა გარდაცვალებულთა ცოდვილთანი განთავისუფლდებიან ჯოჯოხეთისაგან არა მხოლოდ მონანებითა და აღსარების თქმითა, რომელნიც, თუმცა მათ არ აღუსრულებიათ ამა ცხოვრებასა შინა, საიქიოს შეუძლებელნი არიან, არამედ კეთილთა საქმეთაგან, რომელნიც მათთვის შესრულებულ იქმნებიან ცოცხალთაგან.

თანახმად სარწმუნოების სწავლისა წმ. ეკკლესიამ ძველის დროიდგან შემოიღო მშვენიერი ჩვეულება—ლოცვის აღვლენა ღვთისადმი გარდაცვალებულთათვის, რათა შეიწყალოს მან უსისხლო მსხვერპლის შეწირვითა და სხვა კეთილი საქმეებითა. მიუცილებელი საჭიროება და სარგებლობა ამისთანა ჩვეულებისა ცხადად მტკიცდება: I) ძველისა და ახალის აღთქმის საღმრთო წერილის წიგნებითა; II) მოციქულთ ზეპირ გარდმოცემითა; III) მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა კანონებითა, და IV) სწავლითა ღმერთ-შემოსილთა მამათა და მოძღვართა ეკკლესიისათა.

I. დამტკიცება ლოცვასა და მსხვერპლის შეწირვაზე გარდაცვალებულთა მოსახსენებლად არის მაკაბელის მეორე წიგნში, სადაც არის ნათქვამი: «კეთილ მსახური იუდა მოვიდა თვისთა თანა და, დახედვის დროს დაცემულთა, ნახა მათს ტანთსაცმელში კერპთა ძღვენი, რომლისათვისაც კიდეც დაიხოცნენ ისინი. მაშინვე შეკრიბა შესაწირავი ჭეშმარიტისა ღვთისად და გაგზავნა იერუსალიმში შესაწირავად გარდაცვალებულთა ცოდვების შესანდობლად. ისო მე ზირაქისა ასწავებს კეთილის საქმის აღსრულებას, როგორც ცოცხალთა, აგრეთვე გარდაცვალებულთათვის: „მადლი მისაცემელისა წინაშე ყოველთა ცხოველთა, და მკვდართა ზედა, ნუ აყენებ მადლსა». მომაკვდავი ტობია უანდერძებს თავის შვილსა: დახარჯე პური შე-

ნი მართალთა საფლავზე, ცოდვილთა ზედა ნუ გასცემ. რას ნიშნავს, აზრისამებრ წმ. მოძღვართა ეკკლესიისათა გარდაცვალებულთა დასაფლავების ანუ მოხსენების დროს სადილის გამართვა გლახაკთა და ღარიბთათვის, აგრეთვე მღვდელთათვის, რომ ერთი შენდობა შეუთვალონ განსვენებულსა და ევედრონ გარდაცვალებულის სულის ცხოვნებისათვის? ეს ჩვეულება შემოღებულ იყო პირველ ქრისტიანებში და დაცულია თითქმის ჩვენს დრომდის. წინასწარმეტყველი ღვთისა იერემია უწოდებს წარწყმედილად და ღვთის პირისაგან განდევნილად მათ, რომელთა ზედა სიკვდილის შემდეგ არ სრულდება მოხსენება, ანუ მათი დამარხვის დროს არ მიეცემა მოწყალება ,,და ნუ იგლოვ მათ და ნუ დაეფლევინ, რამეთუ განმიშორებიეს მშვიდობა, მშვიდობა ჩემი, რამეთუ ესე რქვა უფალმან'': და არა განტუდეს პური მგლოვასა შინა მათსა. ნუ გეშინის საცემელად მკვდარსა ზედა. სახიდ განცხრომისა მათსა არა შეხვიდე, ოდესცა თანა დაჯდომად მათთანა ჭამად და სუმად. ამას იტყვის უფალი ღმერთი ისრაელთა. პატრიარქმა იაკობმა და იოსებმა ითხოვეს, რომ არ დასტოვონ მვალნი მათნი ქვეყანასა შინა ეგვიპტისასა, არამედ დამარხონ ქვეყანასა ზედა ქანაანისასა, ხოლო ესე იმიტომ იყო ნათხოვი, რომ ისინი მონაწილენი ყოფილიყვნენ ლოცვისა და შეწირვისა, რომელნიც იქ იქნებოდენ აღსრულებულნი.

II. წმიდა მოციქული პავლე იტყვის: და მიანიჭოს უფალმან მოწყალება ონისიფორეს სახლს, ვინაიდგან მრავალჯერ განმისვენა მე და ჩემთა უღელთა არ შეირცხვინა. და მისცეს მას უფალმა პოვნად მადლისა მას დღესა შინა, ე. ი. უკანასკნელსა სასჯელსა (2 ტიმოთელთა 1, 16). ნეტარი თეოფილაკტე, აღსნის რა სიტყვათა იესო ქრისტესსა ამბობს: «თქვენ იხსენით თავისა თქვენისა მეგობარნი მამონასა მისგან სიცრუვისა, რათა რაჟამს მოაკლდეთ თქვენ ამიერ, შეგიწყნარენ თქვენ საუკუნეთა მათ საყოფელთა». (ლუკა 16—3). ავაზაკმა დამოკიდებულმა ჯვარსა ზედა, უთხრა იესო ქრისტეს: ,,მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა''. ესე იგი თითქმის ასე ლოცვილობდა: ორივენი უნდა მოვკვდეთ ჯვრებზე, შენ უბრალო ხარ, ხოლო მე ბრალთა ჩემთათვის ვისჯები, გარნა გევედრები შენ ჩვენი სიკვდილის შემდეგ, ოდესაც შენ დაიმკვიდრებ სასუფეველსა შენსა, კეთილ ინებე ჩემი მოხსენება და მომიტევე ჩემი ცოდვანი. აქედამ ცხადათ სჩანს, რომ ცოდვანი მიეტევებიან სიკვდილის შემდეგაც.

III. მეექვე მსოფლიო კრება ნეტარად უწოდებს, აქებს და ამტკიცებს წმ. მოციქულის იაკობის, ბასილი დიდის და იოანე ოქროპირის საღმრთო ლიტურღიის წესსა.

---

ყოველივე ეს ამტკიცებს გარდაცვალებულთა მოხსენებას, რომელიც სრულდება სამგზის: კვეთის დროს, შემდეგ სახარების წაკითხვისა მოკლე კვერექსში და წმიდათა ძღვენთა შეწირვის შემდეგ. იესო ქრისტემ სთქვა: ყოველსა რასაც ითხოვოთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, მიიღებთ. თუ ლოცვა ერთის მართლისა არის ძლიერი, მით უმეტეს შესაწყნარებელია ღვთისაგან მთელი ერის ლოცვა. ცხადია, რომ ლოცვა, აღვლენილი მთელ მორწმუნეთა კრებისაგან არის ნამდვილი. ამასთან წმიდა ეკკლესია დაუმატებს ერთს დიდ საშუალებას—უსისხლო მსხვერპლის შეწირვას გარდაცვალებულთათვის ცოდვების მიტევებისათვის.

ლიტურღიას, როგორც მსოფლიო მსხვერპლის მოხსენებას, რომელიც შეწირულ იყო უფლისაგან გოლგოთას მთაზედ, აქვს დიდი ძალა და მოქმედება, და არ განისაზღვრება არც ადგილით, არც დროით და თანასწორად მოქმედობს, როგორც ცოცხალზედ, ისე გარდაცვალებულზედ. აქ შუამდგომლობს მთზედ არა უბრალო კაცი, არამედ თვით მხოლოდ შობილი ძე ღვთისა მხოლოდ ერთად ერთი შუამდგომელი ღვთისა და კაცთა შორის, იესო ქრისტე.

როდესაც კვეთის დროს მღვდელი აღმოიღებს ნაწილს სეფისკვერიდგან მოსახსენებლად გარდაცვალებულთათვის, ეს ნაწილები წირვაზედ ჩასვენდებიან ბარძიმში, იესო ქრისტეს სისხლში, ამ ლოცვითი სიტყვების წარმოთქმით: ,,მიუტევე, უფალო, ცოდვანი აქა მოხსენებულთა პირთა პატიოსნითა სისხლითა შენითა''. აქედამ ყველა მართლ-მადიდებელთათვის ცხადია, რომ წმიდის ევხარისტიის, საღმრთო საიდუმლოში თვით იესო ქრისტე არის მ ღ ვ ე ნ ი და მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი. თვით იგია შუამდგომელი მამასთან და განმწმედელი ცოდვათა ჩვენთა და დაუფასებელი სისხლი მისი, დანთხეული ცოდვილთათვის, დაუცხრომელად ღაღადებს საუკუნო მსაჯულისადმი ღვთისა მამისა ცოდვის მოტევებისათვის და შეწყალებისათვის.

იგივე მსოფლიო კრება აღიარებს: არ შეიძლება ეკკლესიაში გარდაცვალებულთა მოსახსენებელად შეწირულებათა შიგ ეკკლესიაში ჭამა. ამასვე გაიმეორებს ლაოდიკის კრებაც: არა ღირს არს უფლის ტაძრებში ანუ ეკკლესიაში მოსახსენებელი სადილის გამართვა და ღვთის სახლთა შინა ჭამა და სხდომა. ვალსამონის განმარტებით ამისთანა სუფრა გაიმართებოდა ძველ ქრისტიანების დროში ეკკლესიის მოსამსახურეთა და ღარიბ ხალხთათვის ეკკლესიის სტოვასა შინა მოსახსენებლად გარდაცვალებულთა; მაშასადამე მოხსენება ლოცვითა, მოწყალების გაცემითა და უსისხლო მსხვერპლის შეწირვითა არის ჩვეულება ძველი და არა ახალი.

მეთოთხმეტე კანონი ტიმოთე ალექსანდრიის მთავარ ეპისკოპოსისა ერთის ას მერვე წმ. მამათაგანისა, რომელნიც იყვნენ კონსტანტინეპოლის პირველს, მსოფლიო კრებაზე აღუკრძალავს უსისხლო მსხვერპლის შეწირვას მოსახსენებლად თავისმკვლელთა. აქედგან ცხადათ სჩანს, რომ უსისხლო მსხვერპლი უნდა შეიწიროს მხოლოდ მათთვის, რომელნიც ქრისტიანულად გარდაცვალებულან.

წმიდა დიონოსი **IV** არეოპაგელი იტყვის: მღვდელი მდაბლად ევედრება ღვთის სახიერებას, რათა მიეტეოს გარდაცვალებულთა შეცოდებანი კაცობრიობის უძლურებასა შინა შემთხვეულნი და დააწესოს იგი სამკვიდრებელსა შინა აბრაამისასა, ისაკისასა და იაკობისასა, ადგილსა, სადა იგი არ არს სალმობა, მწუხარება და სულთქმა და ყოველნი ცოდვანი შეუნდოს თვისითა კაცთმოყვარებითა ცხოვრებასა შინა თვისსა განსრულმან ამა სოფლიდამ.

წმიდა ბასილი დიდი ილოცავს გარდაცვალებულთათვის ასე: მოიხსენე, უფალო, ყოველნი პირველ დაძინებულნი სასოებით აღდგომისა და ცხოვრებისა საუკუნოსათა და შემდეგ ურჩევს მღვდელს ილოცოს მათთვის, რომელთა სახელებიც სურს მოიხსენოს: ,,განსვენებისათვის და მიტევებისათვის ცოდვილთა სულისა ანუ სუ-

ლთა (სახელი გარდაცვალებულთა) ადგილსა ნათლისასა, სადა არა არს მწუხარება და სულთქმა, განუსვენე მას, ღმერთო ჩვენო. და განუსვენე მათ, სადა იგი ჰფარავს ნათელი პირისა შენისა“.

წმიდა გრიგოლი ნოსელი იტყვის, რომ ფრიად ღვთის სათნო და სასარგებლო საქმეა საღმრთო და დიდებული წირვის საიდუმლოს შესრულების დროს განსვენებულთა სარწმუნოებით მოხსენება.

წმიდა ეფრემ სირინელი განვიდოდა რა ამა ქვეყნიდგან, სთხოვდა მოწაფეთა თვისთა მოხსენების შესრულებას მასზედა ორმოცი დღის განმავლობაში და დასძინა: რამეთუ კეთილ ეყოფის გარდაცვალებულთა და მოხსენებასა ცოცხალთაგან გრძნობენ იგინი.

წმიდა იოანნე ოქროპირის ლიტრგიის გარდა, რომელიც მოყვანილია ლიტურგიასა შინა ბასილი დიდისა საუბრებში მრავალს ადგილას ვპოებთ გარდაცვალებულთა მოხსენების საჭიროებას.

წმიდა კირილე იერუსალიმელი, წმ. ეპიფანე კიპრიელი, წმიდა ათანასე დიდი, წმიდა დიმიტრი მიტროპოლიტი როსტოველი ერთად ამტკიცებენ, რომ მიცვალებულთა მოხსენება მველიდგანვეა შემოღებული და ფრიად საჭიროა და სასარგებლო გარდაცვალებულთა სულისათვის ლოცვა, სამოწყალოს გაცემა, მსხვერპლის შეწირვა და წირვა-ლოცვის აღსრულება.

დასასრულ მოვიყვანთ სიტყვათა ღირსისა მამისა ჩვენისა იოანნე დამასკელისასა, რომელმანც შეჰკრიბა ყველა დამტკიცება იმის დრომდე მცხოვრებ წმ. მამათა და მოძღვართა ეკკლესიისათა, რომელთაცა დაიმორჩილეს იმრავალე ქვეყნისა, მოწაფეთა და ღვთის მაცხოვრის მოციქულთა არა უმიზეზოდ და არა უსარგებლოდ დააწესეს ცხოველმყოფელ საიდუმლოთა შინა მოხსენება სარწმუნოებით განსვენებულთა. კიდიდგან კიდემდე ქვეყანისა მფლობელი ერთი წმ. კათოლიკე სამოციქულო ეკკლესია ქრისტეს ღვთისა ჩვენისა მტკიცედ და შეუცვალებლად იცავს ამა დროიდგან დღემდის და მტკიცედ დაიცავს ქვეყნის დასასრულამდე სარწმუნოებით განსვენებულთა მოხსენებას. ვინაიდგან ქრისტეს სარწმუნოებას, განშორებულ შეცთომილებათაგან, არც ერთი უსარგებლო ჩვეულება არ მიუღია და მტკიცედ და შეუცვალებლად იპყრობს ყოველსა სასარგებლოსა ღვთის სათნოსა და მაცხოვნებელსა.

---

### მესამე დღე.

მესამე დღეზედ გარდაცვალებულთა მოხსენება არის ზეპირ გარდმოცემა მოციქულთა. იგი სრულდება მესამე დღეს მისთვის, ა) რომ გარდაცვლილი მონათლული იყო სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ღვთისა სამებასა შინა ერთ არსებისა; სარწმუნოებას, რომელიც მიიღო მან ნათლისღებაში, იცავდა უვნებელად, როგორც იგი თავის სიცოცხლეში ევედრებოდა ღმერთს სამებასა შინა ერთ არსებას ცოდვების მიტევებას, ეგრეთვე წმიდა მართლ-მადიდებელი ეკკლესია აღასრულებს მასზედა მოხსენებას მესამე დღეზე; ბ) რომ მან, ე. ი. გარდაცვალებულმა დაიცვა სამი ღვთის მეტყველებითი კეთილ მოქმედება, რომელნიც საფუძველია ჩვენი ცხოვნებისა სახელდობრ: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული; გ) რომ ყოველი კაცი სცოდავს საქმით, სიტყვით და გულისთქმით, ამისთვის

ვევედრებით წმიდა სამებას მესამესა დღესა მიტევებისათვის ცოდვათა, შთადენილთა ამა სამითა საქციელითა გარდაცვალებულისაგან ამა ღვთის მეტყველებითი განმარტების გარდა მესამე დღეს გარდაცვალებულთა მოხსენებას აქვს კიდევ საიდუმლოვებრივი მნიშვნელობა, რომელიც შეეხება საიქიოს სულის მდგომარეობას.

მესამე დღეს ის, რომელიც თვითონ აღსდგა მესამესა დღესა მკვდრეთით, უბრძანებს ამაღლდეს ქრისტიანის სული ზეცათა შინა თავანის საცემელად ღვთისა ყოვლითასა.

მეცხრე დღე (მსვლელობა სულისა სამოთხესა შინა).

მეცხრე დღეს წმ. ეკკლესია აღასრულებს ლოცვათა, მოწყალებათა გაცემას და უსისხლო მსხვერპლის შეწირვას გარდაცვალებულთათვის. აგრეთვე, მიცვალებულთა ზეპირგარდმოცემისამებრ, იგი ევედრება უფალსა, რომ სული გარდაცვალებულისა ეღირსოს შერიცხვას სულთათანა წმიდათა ლოცვითა და ვედრებითა ცხრათა გუნდთა ანგელოსთა. წმ. მაკარი ალექსანდრიელი, ანგელოსის ჩვენებით ამბობს, რომ შემდეგ მესამე დღე ღვთის თაყვანის-ცემისა ნაბრძანებია რათა ეჩვენებოდეს სულსა სხვა და სხვა სასიამოვნო სავანე წმიდათა და სიმშვენიერე სამოთხისა: ყველა ამას იხილავს სული ექვს დღეს განკვირვებული და მადიდებელი შემოქმედისა ყოვლთასა ღვთისა. იხილავს რა ყველა ამას, იგი გამოიცვლების და დაივიწყებს მწუხარებას, რომელსაც გრძნობდა სხეულში მყოფობის დროს.

(შემდეგი იქნება).

## სიტყვა ცოლ-ქმრობაზე *).

### სასჯელი სიმვა-მრუშებისათვის, ანუ ცოლ-ქმრული კავშირის დარღვევისათვის.

ვინც ცოლ ქმრულ კავშირს არღვევს, ის მძიმე ცოდვაშივარდება. ის პასუხის მგებელია თავის სულის, ხორცის და სინიდისის წინაშე, თავის მეუღლის, საზოგადოების და ღვთის წინაშე, ამიტომ რომ ის ბოროტ საქმით აგნებს თავის ხორც და სულს, მით ღალატობს თავის მეუღლეს, ვნებას აძლევს საზოგადოებას და არღვევს ღვთის მცნებას—წინააღმდეგია სჯულისა. მოსეს სჯულით მემრუშენი და მეძავნი დაისჯებოდნენ სიკვდილით (იან. 8, 4—5), «კაცმან უკეთუ ვინმე იმრუშოს ქმრის ცოლისათანა, ანუ მრუშებს ყოს ცოლისა, ანუ ვინ სიმვა ყოს ცოლსა მოყვსისა თვისისასა სიკვდილით მოკვდდინ, ორნივე შემცოდე არიან"... (ლევიტ. 20, 10). (მეორ. სჯულ. 22, 22). «ყოველნი მრუშებელნი, ვითარცა თორნე მგზებარე, განლევად სიცხისა ალისა მიერ» (ოსეს. წინასწ. 7, 4). იაკობ მოციქული სწერს: «მეძავნო და მემრუშენო! არა უწყითა, რამეთუ სიყვარული სოფლისა ამის მტერობა არს ღმრთისა? აწ უკვე რომელსა უნდეს მეგობარ ყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმრთისა აღუდგების» (იაკობ. 4, 4).

მემრუშენი და მეძავნი დაისჯებიან არა თუ ხორციელად მარტო, არამედ სულიერადაც: ისინი წარიწყმედენ სულსა თვისსა, მოაკლდებიან სასუფეველსა და იქმნებიან შთაგდებულნი ტბასა მას ცეცხლისასა. სოლომონ ბრძენი სწერს: «მემრუშემან ნაკლულევანებისა წილ გონებისათა წარწყმედა სულისა თვისისა მოატყუას» (შეამოხვიოს) (იგავ. 6, 32). მოციქული პავლე სწერს: «მეძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმრთმან» (ებრ. 13, 4); იგივე მოციქული სწერს: «არცა მეძავთა, არცა მემრუშეთა სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკვიდრონ» (კორ. 6, 9—1). იგივე მოციქული პავლე სწერს გალატელთა: «ცხად არიან საქმენი ხორცთანი, რომელ არიან: სიძვანი, მრუშებანი, არაწმინდებანი, ბილწებანი... ესე ვითარისა მოქმედთა სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკვიდრონ» (5, 19—21; (ეფეს. 5, 5). იოანე ღვთის მეტყველი სწერს: «ურწმუნოთა, და ცოდვილთა, და საძაგელთა, და კაცის მკვლელთა, და მეძავთა... ნაწილი მათი იყოს ტბასა მას

*) იხ. «მწყემსი»-ს № 8.

ცეცხლითა და წუნწუბითა აღნთებულსა; რომელ არს სიკვდილი იგი მეორე» (გამოცხ. 21, 8). ვინც კეთილი ადამიანია, ის ყოველთვის ერიდება ამ ცოდვას, მაგრამ ცოდვილნი და ბოროტნი კი მისდევენ მას: ამაზედ დავით წინასწარმეტყველი სწერს: «ცოდვილსა მას რქვა ღმერთმან... მეძავსათანა დავსდვი ნაწილი შენი» (ფსალ. 49, 16—18). წინასწარმეტყველი იერემია სწერს ბოროტ და ცოდვილებზე: «იმრუშებდეს და სახლებსა შინა მეძავთასა ისადგურეს (იერ. 5, 7). მეორე ადგილს იგივე წინასწარმეტყველი ამბობს: რომ ვინმემ მომცეს მე უდაბნოში უკანასკნელი სადგური, დაუტეო ერი ჩემი და წავიდე მისგან, რამეთუ ყოველნი იმრუშებენ“ (იერ. 9, 2).

ეგეთი მძიმე და დამღუპველი ცოდვაა მრუშება, ამიტომ ყოველი კაცი უნდა ერიდოს მას. ჩვენ გვაქვს საშუალება ღვთისაგან მოცემული, რომელიც დაგვიფარავს ამ ცოდვისაგან. ეს საშუალება არის სიბრძნე ღვთისა და მცნებანი მისნი, გამოხატულნი საღმრთო წერილში. ამაზედ სოლომონ ბრძენი სწერს: «სანთელ არს მცნება სჯულისა, და ნათელ და გზა ცხოვრებისა, და მხილება და სწავლულება, რომელმან დაგიცვას შენ დედაკაცისაგან ქმრის ცოლისა და დასმენისაგან ენისა უცხოისა» (იგავ. 6, 23—24). იგივე სოლომონ ბრძენი გვამლევს ამის შესახებ მშვენიერ დარიგებას: «ნუ მიხედავ დედაკაცსა ბოროტსა, რამეთუ თაფლი გარდამოსწვეთიან ბაგეთაგან დედაკაცისა მეძავისა, რომელმან წუთ ერთ დაატკბოს სასაშენი. ხოლო უკანასკნელ უმწარეს ნაღვლისა ჰპოო და უმკვეთლეს უფროს მახვილისა ლესულისა ორპირისა... შორს ყავ მისგან გზანი შენნი და ნუ მიეახლები კართა მიმართ სახლისა მისისათა... რათა არა განძღნენ სხვანი შენისა ძალისად და ნაშრომი შენი შევიდეს სახლსა შინა სხვათასა და ინანდე უკანასკნელსა ზედა... და სთქვა: ვითარ მოვიძულენ სწავლულება და არა ვისმინე ხმა მსწავლელისა ჩემისა და მოძღვარსა ჩემსა არა მიუპყარ ყური ჩემი (იგავ. 5, 3, 4, 8, 13). იგივე სოლომონ ბრძენი გვასწავლის: «შვილო, ნუ მისცემ დედა კაცთა სიმდიდრესა შენსა და შენსა გონებასა და ცხოვრებასა უკანასკნელსა შინა განზრახვასა» (იგავ. 31, 3). მოციქული პავლე სწერს: «სიძვა და ყოველი არა წმინდება, გინა ანგარება (ვერცხლის მოყვარეობა) ნუღაცა სახელედებინ თქვენ შორის, ვითარცა შვენის წმიდათა» (ეფეს. 5, 3). იგივე მოციქული სწერს: «მოაკვდინენით უკვე ასონი თქვენნი ქვეყანასა ზედა: სიძვა, არა წმინდება, ვნება, გულის თქმა ბოროტი და ანგარება, რომელ არს კერპთ მსახურება» (კოლას. 3, 5). იგივე მოციქული პავლე სწერს: «ესე არს ნება ღვთისა... განშორებად თქვენდა სიძვისაგან»... (1 თესალ. 4, 4—5).

## ცოლი კეთილი.

ბედნიერია ცხოვრებაში ის კაცი, რომელსაც შეხვდება ცოლად დედაკაცი კეთილი და მადლიანი. ის ღვთისაგან დაჯილდოებულია, ამიტომ რომ კეთილი ცოლი არის მადლი ღმრთისა, ნაწი უფლისა, კეთილი ცოლი არის თავის ქმრისთვის გვირგვინი კურთხევისა; იგი ახარებს ქმარსა თვისსა. კეთილ დედა კაცის ქმარს გული თამამი აქვს, ყოველ კეთილს საქმეს გაბედვით მოკიდებს ხელს, იცის რა, რომ მას ჰყავს შემწე კეთილი და ძვირფასი, რომელიც უღელს აუწევს მას ყოველ კეთილ საქმეში გაამხნევებს და იმედს მისცემს მას გაჭირვების დროს, კეთილი დედა კაცი აიტანს გასაჭირს და შეიმშნობს ბედნიერებას; ის არ გაამპარტავნდება, თუ მდიდარი და შეძლებულია. კეთილი დედა კაცი ტყვილა უბრალოდ დროს არ დაკარგავს, არამედ ოჯახსს უვლის, ხელსაქმობს და გამრჯელია. კეთილი ცოლი ხელ გაშლილია, სიმუნწე ეჯავრება, გულ უხვია და თავის სიმდიდრისაგან განუზიარებს გაჭირვებულს და ხელმოკლე ადამიანს რამოდენიმე ნაწილს. სოლომონ ბრძენი სწერს: «რომელმან პოოს ცოლი კეთილი, უპოვნიეს მადლი, ხოლო მიუღებიეს სიწყნარე უფლისა მიერ» (იგავ 18, 22). იგივე ბრძენი სწერს: «დედა კაცი მხნე გვირგვინი ქმრისა» (იგავ. 12, 4). «დედა კაცი მხნე ვინ პოოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდლისა, კადნიერ არს (თამამი არს) მის ზედა გული ქმრისა მისისა, რამეთუ იქმს ქმრისა თვისისა კეთილსა ყოველსა შინა ცხოვრებასა (იგავ. 31, 10—22). სოლომონ ბრძენივე სწერს: «დედათა ბრძენთა აღაშენნეს სახლი, ხოლო უგნურმან აღმოთხარა ხელითა თვისითა» (იგავ. 14, 1). წიგნი ისო ზირაქისა მოგვითხრობს: «მადლი დედაკაცისა ახარებს ქმარსა მისსა და ძვალთა მისთა განაპოხებს (გაასუქებს) ხელოვნება მისი; ნიჭი უფლისა დედაკაცი მდუმარე... მადლი მადლისა ზედა დედაკაცი მორცხვედი» (26, 16—18). «ნეტარ არს, რომელი ცხოვრებს ცოლისათანა მეცნიერისა» (ზირაქ. 25. 11). «დედაკაცისა კეთილისა სანატრელ არს ქმარი და რიცხვი დღეთა მისთა მრჩობელ კეც (ორკეც). დედაკაცი კეთილი ახარებს ქმარსა თვისსა და წელთა მისთა აღავსებს მშვიდობითა. დედა კაცი კეთილი ნაწილი კეთილისა, წილსა შინა მოშიშსა უფლისასა მიეცეს“ (ზირ. 26, 1—3).

საღმრთო წერილი გვასწავლის, რომ კეთილი დედაკაცი თავის ქმარს მოუპოვებს დიდებას და პატივს და იგი—კეთილი დედაკაცი—ქების ღირსია. ამაზედ სოლომონ ბრძენი სწერს: «დიდებულ იქმნების ბჭეთა შინა (შესაკრებელ ადგილზე—საზოგადოებაში) ქმარი მისი"—კეთილი დედაკაცისა. (იგავ. 31, 23). «დედა კაცი მადლიანი აღუდგინებს დიდებასა ქმარსა» (იგავ. 11, 16). «ქმარმანცა მისმან აქო იგი (კეთილი დედაკაც)... დედაკაცი გონიერი კურთხეულ არს, ხოლო მოშიში უფლისანი ამას რათა აქებდნენ. მიეცით მას ნაყოფთაგან ბაგეთა მისთასა, რათა იქებოდეს ბჭეთა ზედა ქმარი მისი» (იგავ. 31, 30—32).

კეთილ დედაკაცს, გამრჯელს, თავის ოჯახზე მზრუნველს, ანუ მეოჯახეს, სიმდიდრის შემძენს და გლახაკთა მოწყალეს სოლომონ ბრძენი აღწერს შემდგომი სახით: დედაკაცმან კეთილმან «მოიგო მატყლი და სელი, ქმნა კეთილ სახმარი ხელითა თვისითა. იქმნა, ვითარცა ნავი მოვაჭრე, მოქმედი, შორით შეიკრებს თვისსა თვისისა სიმდიდრე, და აღდგის ღამითგან და მისცის საზრდელი სახლეულთა და საქმე მხევალთა. მხილველმან აგარაკი (საყანე ანუ საკვენახე ადგილი) მოიყიდა, ხოლო ნაყოფთაგან ხელთა თვისთასა დაამტკიცნა მკლავნი თვისნი საქმესა ზედა; და იხილა გემო, რამეთუ კეთილ არს საქმედ, და არა დაშრტეს სანთელი მისი ღამე ყოველ. მწყრთა თვისი განმარტა სასარგებლოსა ზედა, ხოლო ხელსა თვისსა განამტკიცებს ტარსა ზედა სთვალ. და ხელნი თვისნი განუხვნა გლახაკსა, ხოლო ნაყოფნი მიუპყრნა დავრდომილსა. არა ზრუნავს მყოფთათვის სახლსა შინა ქმარი მისი, ოდეს სადა ყოვნოს (სადმე დაიგვიანოს) რამეთუ ყოველნი მისთანანი შემოსილ არიან, ორნობლი სამოსელი უქმნა ქმარსა თვისსა, ხოლო ბისონისაგან და პორფირისა (სამეფო ტანისამოსი) თავისა თვისისა სამოსელი» (იგავ. 31, 13—22).

საღმრთო წერილი გვასწავლის, რომ კეთილი ცოლი მოსაფერებელია, პატივსაცემია; ამაზედ სოლომონ ბრძენი სწერს: «რომელი განდევნის ცოლსა კეთილსა, განდევნის კეთილთა» (იგავ. 18, 23). ისო ზირაქი სწერს: «ნუ განიშორებ დედაკაცსა ბრძენსა და კეთილსა, რამეთუ მადლი მისი უფროს ოქროისა... „არს თუ შენდა ცოლი სულისაებრ ნუ განაგდებ მას (ზირაქ. 7, 21, 28).

## ცოლი ბოროტი.

საზრალოა და საცოდავი ის კაცი, რომელსაც შეხვდება ცოლად დედაკაცი ბოროტი. ის ბედისაგან მეტად დასჯილია, ცხოვრებაში მეტად შეწუხებულია, ოჯახში მუდამ აღშფოთებული, აღელვებული და მოუსვენარია, გული მუდამ უწუხს, რადგანაც ბოროტ ცოლის ენით მას გული დაკოდილი აქვს, ხშირად ერიდება ცოლთან ლაპარაკს, რჩევას და ყოველივე ოჯახის შესახებ საერთო საქმეს, რადგანაც ის თავის ცოლისაგან კეთილს არას გამოელის. ბედნიერებად მიაჩნია ოჯახიდგან სადმე წასვლა, რომ ცოტა ხანს მაინც არ ხედავდეს თავის ცოლის საქციელს. ბოროტი ცოლის ქმარი ტოლ ამხანაგში და საზოგადოებაშიაც დარცხვენილია და გაცუდებული. ერთი სიტყვით, ბოროტ დედაკაცის ქმარი ამ ქვეყნიერად ჯოჯოხეთში იტანჯება და არ იცის, როდის გათავდება ეს ქვეყნიური ჯოჯოხეთის სატანჯველი. ბოროტ დედაკაცზე სწერს სოლომონ ბრძენი: «ვითარცა მღილი ძელსა, ეგრეთ წარწყმედს ქმარსა დედაკაცი ბოროტის მოქმედი" (იგავ. 12, 4). იგივე სოლომონ ბრძენი სწერს: «უმჯობეს არს ცხოვრება ქვეყანასა შინა უდაბნოსა, ვიდრე და ცხოვრება დედაკაცისათანა მოლალისა (კაპასი), და ენოვანისა, და მრისხანისა» (იგავ 21, 19). «უმჯობეს არს ყურესა შინა სართულისასა, ვიდრე და სახლსა შინა საერთოსა დედაკაცისათანა მაგინებელისა" (იგავ. 25, 26). იგივე სოლომონ ბრძენი სწერს: «წვეთნი განსდევნის კაცსა დღესა შინა ზამთრით სახლისაგან მისისა, ეგრეთ დედაკაციცა მწყევარი თვისისაგან სახლისა» (იგავ. 27, 15). იგივე ბრძენი სწერს: «სამთა მიერ შეიძვრის ქვეყანა, ხოლო მეოთხისა ვერ მალუძს ტვირთვად: უკეთუ მონა გამეფდეს და უგუნური აღივსოს საზრდელითა, და მხევალმან უკეთუ განსდევნოს დედოფალი თვისი, და დედაკაცი საძაგელი უკეთუ მისცეს კაცსა კეთილსა» (იგავ. 30, 21—23). რამდენად მძიმე და გასაჭირია ბოროტ დედაკაცთან ცხოვრება, რავდენად დედა კაცის სიბოროტე აღემატების ყოველ ბოროტებას და როგორ დაალონებს და გულს უწყლავს ქმარს ბოროტი დედაკაცი, ამას გამოგვიხატავს ჩვენ წიგნი ისო ზირაქისა: „უმჯობეს არს ცხოვრება ლომთათანა და ვეშაპთა, ვიდრე ცხოვრება დედა კაცისა ბოროტისათანა. სიბოროტე დედა კაცისა შესცვლის სახესა მისსა... მცირე არს ყოველი სიბოროტე, წინააღმდეგ სიბოროტესა დედაკაცისასა... ვითარცა აღსავალი ქვიშასა ზედა ფერხითა მოხუცებულისათა ეგრეთ დედა კაცი ენოვანი ქმრისა მდუმარისა. ნუ შეუვრდები შვენებასა ზედა დედა კაცისასა და დედაკაცისასა გულის თქმათა შინა ნუ გსურის. რისხვა და ურცხვინოება და გდემა დიდი დედაკაცისა, უკეთუ ხელმწიფებს ქმარსა

ცეცხლითა და წუნწუბითა აღნთებულსა; რომელ არს სიკვდილი იგი მეორე» (გამოცხ. 21, 8). ვინც კეთილი ადამიანია, ის ყოველთვის ერიდება ამ ცოდვას, მაგრამ ცოდვილნი და ბოროტნი კი მისდევენ მას: ამაზედ დავით წინასწარმეტყველი სწერს: «ცოდვილსა მას რქვა ღმერთმან... მეძავსათანა დავსდვი ნაწილი შენი» (ფსალ. 49, 16—18). წინასწარმეტყველი იერემია სწერს ბოროტ და ცოდვილებზე: «იმრუშებდეს და სახლებსა შინა მეძავთასა ისადგურეს (იერ. 5, 7). მეორე ადგილს იგივე წინასწარმეტყველი ამბობს: რომ ვინმემ მომცეს მე უდაბნოში უკანასკნელი სადგური, დავუტეო ერი ჩემი და წავიდე მისგან, რამეთუ ყოველნი იმრუშებენ“ (იერ. 9, 2).

ეგეთი მძიმე და დამღუპველი ცოდვაა მრუშება, ამიტომ ყოველი კაცი უნდა ერიდოს მას. ჩვენ გვაქვს საშვალება ღვთისაგან მოცემული, რომელიც დაგვიფარავს ამ ცოდვისაგან. ეს საშვალება არის სიბრძნე ღვთისა და მცნებანი მისნი, გამოხატულნი საღმრთო წერილში. ამაზედ სოლომონ ბრძენი სწერს: «სანთელ არს მცნება სჯულისა, და ნათელ და გზა ცხოვრებისა, და მხილება და სწავლულება, რომელმან დაგიცვას შენ დედაკაცისაგან ქმრის ცოლისა და დასმენისაგან ენისა უცხოსა» (იგავ. 6, 23—24). იგივე სოლომონ ბრძენი გვაძლევს ამის შესახებ მშვენიერ დარიგებას: «ნუ მიხედავ დედაკაცსა ბოროტსა, რამეთუ თაფლი გარდამოსწვეთიან ბაგეთაგან დედაკაცისა მეძავისა, რომელმან წუთ ერთ დაატკბოს სასაშენი. ხოლო უკანასკნელ უმწარეს ნაღვლისა ჰპოო და უმკვეთლეს უფროს მახვილისა ლესულისა ორპირისა... შორს ყავ მისგან გზანი შენნი და ნუ მიეახლები კართა მიმართ სახლისა მისისათა... რათა არა განძღნენ სხვანი შენისა ძალისად და ნაშრომი შენი შევიდეს სახლსა შინა სხვათასა და ინანდე უკანასკნელსა ზედა... და სთქვა: ვითარ მოვიძულე სწავლულება და არა ვისმინე ხმა მსწავლელისა ჩემისა და მოძღვარსა ჩემსა არა მივუპყარ ყური ჩემი (იგავ. 5, 3, 4, 8, 13). იგივე სოლომონ ბრძენი გვასწავლის: «შვილო, ნუ მისცემ დედა კაცთა სიმდიდრესა შენსა და შენსა გონებასა და ცხოვრებასა უკანასკნელსა შინა განზრახვასა» (იგავ. 31, 3). მოციქული პავლე სწერს: «სიძვა და ყოველი არა წმინდება, გინა ანგარება (ვერცხლის მოყვარეობა) ნუღაცა სახელედებინ თქვენ შორის, ვითარცა შვენის წმიდათა» (ეფეს. 5, 3). იგივე მოციქული სწერს: «მოაკვდინენით უკვე ასონი თქვენნი ქვეყანასა ზედა: სიძვა, არა წმინდება, ვნება, გულის თქმა ბოროტი და ანგარება, რომელ არს კერპთ მსახურება» (კოლას. 3, 5). იგივე მოციქული პავლე სწერს: «ესე არს ნება ღვთისა... განშორებად თქვენდა სიძვისაგან»... (1 თესალ. 4, 4—5).

## ცოლი კეთილი.

ბედნიერია ცხოვრებაში ის კაცი, რომელსაც შეხვდება ცოლად დედაკაცი კეთილი და მადლიანი. ის ღვთისაგან დაჯილდოებულია, ამიტომ რომ კეთილი ცოლი არის მადლი ღმრთისა, ნაჭი უფლისა, კეთილი ცოლი არის თავის ქმრისთვის გვირგვინი კურთხევისა; იგი ახარებს ქმარსა თვისსა. კეთილ დედა კაცის ქმარს გული თამამი აქვს, ყოველ კეთილს საქმეს გაბედვით მოკიდებს ხელს, იცის რა, რომ მას ყავს შემწე კეთილი და ძვირფასი, რომელიც უღელს აუწევს მას ყოველ კეთილ საქმეში გაამხნევებს და იმედს მისცემს მას გაჭირვების დროს, კეთილი დედა კაცი აიტანს გასაჭირს და შეიმნობს ბედნიერებას; ის არ გაამპარტავნდება, თუ მდიდარი და შეძლებულია. კეთილი დედა კაცი ტყვილა უბრალოდ დროს არ დაკარგავს, არამედ ოჯახსს უვლის, ხელსაქმობს და გამრჯელია. კეთილი ცოლი ხელ გაშლილია, სიძუნწე ეჯავრება, გულ უხვია და თავის სიმდიდრისაგან განუზიარებს გაჭირვებულს და ხელმოკლე ადამიანს რამოდენიმე ნაწილს. სოლომონ ბრძენი სწერს: «რომელმან პოოს ცოლი კეთილი, უპოვნიეს მადლი, ხოლო მიუღებიეს სიწყნარე უფლისა მიერ» (იგავ 18, 22). იგივე ბრძენი სწერს: «დედა კაცი მხნე გვირგვინი ქმრისა» (იგავ. 12, 4). «დედა კაცი მხნე ვინ პოოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდლისა, კადნიერ არს (თამამი არს) მის ზედა გული ქმრისა მისისა, რამეთუ იქმს ქმრისა თვისისა კეთილსა ყოველსა შინა ცხოვრებასა (იგავ. 31, 10—22). სოლომონ ბრძენივე სწერს: «დედათა ბრძენთა აღაშენნეს სახლი, ხოლო უგნურმან აღმოთხარა ხელითა თვისითა» (იგავ. 14, 1). წიგნი ისო ზირაქისა მოგვითხრობს: «მადლი დედაკაცისა ახარებს ქმარსა მისსა და ძვალთა მისთა განაპოხებს (გაასქელებს) ხელოვნება მისი; ნიჭი უფლისა დედაკაცი მდუმარე... მადლი მადლისა ზედა დედაკაცი მორცხვედი» (26, 16—18). «ნეტარ არს, რომელი ცხოვრებს ცოლისათანა მეცნიერისა» (ზირაქ. 25. 11). «დედაკაცისა კეთილისა სანატრელ არს ქმარი და რიცხვი [illegible] მისთა მრჩობელ გეც (ორკეც). დედაკაცი კეთილი ახარებს ქმარსა თვისსა და წელთა მისთა აღავსებს მშვიდობით. დედა კაცი კეთილი ნაწილი კეთილისა, წილსა შინა მოშიშსა უფლისასა მიეცეს“ (ზირ. 26, 1—3).

საღმრთო წერილი გვასწავლის, რომ კეთილი დედაკაცი თავის ქმარს მოუპოვებს დიდებას და პატივს და იგი—კეთილი დედაკაცი—ქების ღირსია. ამაზედ სოლომონ ბრძენი სწერს: «დიდებულ იქმნების ბჭეთა შინა (შესაკრებელ ადგილზე—საზოგადოებაში) ქმარი მისი"—კეთილი დედაკაცისა. (იგავ. 31, 23). «დედა კაცი მადლიანი აღუდგინებს დიდებასა ქმარსა» (იგავ. 11, 16). «ქმარმანცა მისმან აქო იგი (კეთილი დედაკაც)... დედაკაცი გონიერი კურთხეულ არს, ხოლო მოშიშნი უფლისანი ამას რათა აქებდნენ. მიეცით მას ნაყოფთაგან ბაგეთა მისთასა, რათა იქებოდეს ბჭეთა ზედა ქმარი მისი» (იგავ. 31, 30—32).

კეთილ დედაკაცს, გამრჯელს, თავის ოჯახზე მზრუნველს, ანუ მეოჯახეს, სიმდიდრის შემძენს და გლახაკთა მოწყალეს სოლომონ ბრძენი აღწერს შემდგომი სახით: დედაკაცმან კეთილმან «მოიგო მატყლი და სელი, ქმნა კეთილ სახმარი ხელითა თვისითა. იქმნა, ვითარცა ნავი მოვაჭრე, მოქმედი, შორით შეიკრებს თავისა თვისისა სიმდიდრე, და აღდგის ღამითგან და მისცის საზრდელი სახლეულთა და საქმე მხევალთა. მხილველმან აგარაკი (საყანე ანუ სავენახე ადგილი) მოიყიდა, ხოლო ნაყოფთაგან ხელთა თვისთასა დაამტკიცნა მკლავნი თვისნი საქმესა ზედა; და იხილა გემო, რამეთუ კეთილ არს საქმედ, და არა დაშრტეს სანთელი მისი ღამე ყოველ. მწყრთა თვისი განმარტა სასარგებლოსა ზედა, ხოლო ხელსა თვისსა განამტკიცებს ტარსა ზედა სთავად. და ხელნი თვისნი განუხვნა გლახაკსა, ხოლო ნაყოფნი მიუპყრა დავრდომილსა. არა ზრუნავს მყოფთათვის სახლსა შინა ქმარი მისი, ოდეს სადა ყოვნოს (სადმე დაიგვიანოს) რამეთუ ყოველნი მისთანანი შემოსილ არიან, მრჩობლი სამოსელი უქმნა ქმარსა თვისსა, ხოლო ბისონისაგან და პორფირისა (სამეფო ტანისამოსისა) თავისა თვისისა სამოსელი» (იგავ. 31, 13—22).

საღმრთო წერილი გვასწავლის, რომ კეთილი ცოლი მოსაფერებელია, პატივსაცემია; ამაზედ სოლომონ ბრძენი სწერს: «რომელმან განდევნის ცოლსა კეთილსა, განდევნის კეთილთა» (იგავ. 18, 23). ისო ზირაქი სწერს: «ნუ განეშორები დედაკაცსა ბრძენსა და კეთილსა, რამეთუ მადლი მისი უფროს ოქროისა... „არს თუ შენდა ცოლი სულისაებრ ნუ განაძებ მას (ზირაქ. 7, 21, 28).

## ცოლი ბოროტი.

საბრალოა და საცოდავი ის კაცი, რომელსაც შეხვდება ცოლად დედაკაცი ბოროტი. ის ბედისაგან მეტად დასჯილია, ცხოვრებაში მეტად შეწუხებულია, ოჯახში მუდამ აღშფოთებული, აღელვებული და მოუსვენარია, გული მუდამ უწუხს, რადგანაც ბოროტ ცოლის ენით მას გული დაკოდილი აქვს, ხშირად ერიდება ცოლთან ლაპარაკს, რჩევას და ყოველივე ოჯახის შესახებ საერთო საქმეს, რადგანაც ის თავის ცოლისაგან კეთილს არას გამოელის. ბედნიერებად მიაჩნია ოჯახიდგან სადმე წასვლა, რომ ცოტა ხანს მაინც არ ხედავდეს თავის ცოლის საქციელს. ბოროტი ცოლის ქმარი ტოლ ამხანაგში და საზოგადოებაშიაც დარცხვენილია და გაცუდებული. ერთი სიტყვით, ბოროტ დედაკაცის ქმარი ამ ქვეყნიერად ჯოჯოხეთში იტანჯება და არ იცის, როდის გათავდება ეს ქვეყნიური ჯოჯოხეთის სატანჯველი. ბოროტ დედაკაცზე სწერს სოლომონ ბრძენი: «ვითარცა მღილი ძელსა, ეგრეთ წარწყმედს ქმარსა დედაკაცი ბოროტის მოქმედი" (იგავ. 12, 4). იგივე სოლომონ ბრძენი სწერს: «უმჯობეს არს ცხოვრება ქვეყანასა შინა უდაბნოსა, ვიდრე და ცხოვრება დედაკაცისათანა მოლაღისა (კაპასი), და ენოვანისა, და მრისხანისა» (იგავ 21, 19). «უმჯობეს არს ყურესა შინა სართულისასა, ვიდრე და სახლსა შინა საერთოსა დედაკაცისათანა მაგინებელისა" (იგავ. 25, 26). იგივე სოლომონ ბრძენი სწერს: «წვეთნი განსდევნის კაცსა დღესა შინა ზამთრით სახლისაგან მისისა, ეგრეთ დედაკაციცა მწყევარი თვისისაგან სახლისა» (იგავ. 27, 15). იგივე ბრძენი სწერს: «სამთა მიერ შეიძვრის ქვეყანა, ხოლო მეოთხისა ვერ ძალუძს ტვირთვად: უკეთუ მონა გამეფდეს და უგუნური აღივსოს საჭმლითა, და მხევალმან უკეთუ განსდევნოს დედოფალი თვისი, და დედაკაცი საძაგელი უკეთუ მისცეს კაცსა კეთილსა» (იგავ. 30, 21—23). რამდენად მძიმე და გასაჭირია ბოროტ დედაკაცთან ცხოვრება, რამდენად დედა კაცის სიბოროტე აღემატება ყოველ ბოროტებას და როგორ დააღონებს და გულს უწყლავს ქმარს ბოროტი დედაკაცი, ამას გამოგვიხატავს ჩვენ წიგნი ისო ზირაქისა: „უმჯობეს არს ცხოვრება ლომთათანა და ვეშაპთა, ვიდრე ცხოვრება დედა კაცისა ბოროტისათანა. სიბოროტე დედა კაცისა შესცვლის სახესა მისსა... მცირე არს ყოველი სიბოროტე, წინააღმდეგ სიბოროტესა დედაკაცისასა... ვითარცა აღსლვა ქვიშასა ზედა ფერხითა მოხუცებულისათა ეგრეთ დედა კაცი ენოვანი ქმრისა მდუმარისა. ნუ შეუვრდები შვენებასა ზედა დედა კაცისასა და დედაკაცისასა გულის თქმათა შინა ნუ გსურის. რისხვა და ურცხვინოება და გდემა დიდი დედაკაცისა, უკეთუ ხელეწიფებს ქმარსა

თვისსა. გული მდაბალი და პირი მჭმუნვარე და წყლულება გულისა დედაკაცი ბოროტი... დედაკაცისაგან დასაბამი ცოდვისა და მით მოკვდებით ყოველნი. ნუ მასცემ წყალსა განსავალსა, ნუცა დედაკაცსა ბოროტსა კადნიერებასა, თუ არა ვიდოდეს ხელსა ქვეშე შენსა, მოიკვეთე იგი ხორცისაგან შენისა.» (ზირაქ. 25, 18—29). ისო ზირაქი კიდევ სწერს, რომ ბოროტ დედაკაცს უნდა დაუკეტო და დაუბეჭდო ყოველივერი და თუ რამე მისცე—ზომით და მრიცხვით და მოიღე ყოველი წერილით. (ზირაქ. 42, 6).

მღვდელი ნ. ყუბანეიშვილი.

(დასასრული).

## განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის ორ თვიურ საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

# „ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დამატებით ეღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თბილისში — «წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (Барятинская ул., д. 8).

2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала «ДЖЕДЖИЛИ»*

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

---

## მიიღება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

# „მწყემსზედ“

## და

## რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საეპარქიელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიაო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა, არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

### ფასი გაზეთისა:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით | «მწყემსი» | | 5 მ. | 6 თვით | «მწყემსი» | | 3 მ. |
| — | ,, ორივე გამოცემა | | 6 » | — | ,, ორივე გამოცემა | | 4 » |
| — | ,, რუსული | ,, | 3 მ. | — | ,, რუსული | ,, | 2 მ. |

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газетъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

---

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 20 Мая 1891 г.*
Типографія редакціи (Д. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр.Ханановыхъ на Нѣмецкой ул.